

24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი *2424

ინილეთ ჩანართი



ქრნალისტიკის "მცველები"

A4



მინდა ვიყო პირველი არხის კორესპონდენტი!

A10



გაკვეთილი რუსეთისათვის

დმიტრი ავალიანი

საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობა ღრმავდება. იმ დროს, როდესაც რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო საზღვრებს აშენებს, ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ტარდება. ალიანსი აქტიურად ემზადება საქართველოში წვრთნების ჩასატარებლად, რომელთა ჩაშლა რუსეთმა ვერ შეძლო. ბრიუსელი მოსკოვს მიანიშნებს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს და ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობას, რუსეთის პროტესტის მიუხედავად, კვლავ გააგრძელებს.

გუშინ ბრიუსელში ნატო-საქართველოს პოლიტიკური საბჭოს კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც ნატო-საქართველოს კომისიის ხვალისდელ სხდომაზე განსახილველ საკითხებზე იმსჯელეს. გუშინდელ სხდომას ალიანსის გენერალური მდივანი იაბ დე შოოზ სხეფერი ხელმძღვანელობდა.

როგორც სხდომის დანყებაზე საქართველოს ელჩმა ნა-

ტო-ში რევაზ ბეშიძემ განაცხადა, დაგეგმილი იყო საუბარი საქართველოს კონფლიქტურ ზონებში უსაფრთხოების საკითხების, მათ შორის უკანონო რუსული ბაზების მშენებლობის შესახებ. გარდა ამისა, იგეგმებოდა მსჯელობა ბოლო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

პიკატირების და ულტიმატუმის მასშტაბები

დამო ბაჩისონია

გუშინ საპროტესტო აქციების ორგანიზატორმა ოპოზიციურმა პარტიებმა უახლოესი დღეების სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნეს. ამჯერად, ისინი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის მორიგი ულტიმატუმის წაყენებას გეგმავენ. ოპოზიციის მხარდამჭერები 8 მაისს რეგიონებში დაიწყებენ სხვადასხვა ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვას. პიკეტირების პარალელურად, ოპოზიცია წინასწარ მომზადებულ წინადადებას წარმოადგენს. გუშინ საპროტესტო აქციების ორგანიზატორთა სახელით განცხადება გააკეთა "ეროვნული ფორუმის" ერთერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ. "8 მაისს სააკაშვილს მიეცემა 72-საათიანი ვადა, რათა დააკმაყოფილოს პრეზიდენტის პოსტიდან მისი გადადგომის მოთხოვნა და გამართოს პირდაპირი მოლაპარაკებები ოპოზიციასთან, ქვეყანაში ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით შეცვლისთვის აუცილებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად," - განაცხადა "ეროვნული ფორუმის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

გაგრძელება A2 გვერდზე



საპროტესტო აქციის დროს

გავლენის პრივილეგიები სფერო

დავიდ ჯ. სიტიჩი

სპეციალურად "24 საათისთვის"

გასული კვირის ბოლოს, დაახლოებით, 1800 რუსი ჯარისკაცი დამატებით განლაგდა ისედაც უკვე ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე - აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ახალგორის რაიონში. ბოლო რუსული კონტიგენტი ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო დაცვაა, რომელსაც 30 აპრილს კრემლში ხელმოწერილი ე.წ. საზღვრის კონტროლის შეთანხმების აღსრულება

ევალეა. შეთანხმებას რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა და სეპარატისტმა ლიდერებმა სერგეი ბაგაფშმა და ედუარდ კოკოითმა მოაწერეს ხელი.

დოკუმენტებზე მელანი შემპრალიც არ იყო, როცა რუსეთის საზღვრის დაცვის პირველი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოვიდა. "საზღვრები უსაფრთხოდ უნდა იყოს ჩაკეტილი და მტრისთვის შეუვალი," - განაცხადა რუსეთის სამხრეთ ნაწილის საზღვრის დაცვის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ნიკოლაი ლისინსკიმ დონის როსტოვში თა-

ვისი შტაბბინიდან, - აღნიშნავს "ინტერფაქსი".

ათწლიანი შეთანხმების თანახმად, რუსეთმა დაადასტურა პასუხისმგებლობა, პატრულირება გაუწიოს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ნაწილს შორის ხაზს, აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჩათვლით.

"საზღვრების დასაცავად გამოვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის სენსორულ და ვიდეომონიტორებსა, ასევე უპილოტო თვითმფრინა-

ვებს. არ არის დაგეგმილი მავთულხლართის გაბმა," - განაცხადა ლისინსკიმ.

აღნიშნული შეთანხმებები მოჰყვა მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინკორპორაციას რუსეთის სამართლებრივ და ეკონომიკურ ზონაში 2008 წლის აგვისტოში საქართველოსთან ომის შემდეგ, რაც ქართული ტერიტორიების ოკუპაციითა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებით დასრულდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია ინილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

პენის სადაზღვრეო ჯგუფი

გზა ევროკავშირისკენ

7 მაისს, პრალაში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამიტი გაიხსენება. სამიტს ევროკავშირის 27-ვე წევრი ქვეყნის ლიდერები დაესწრებიან. სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ჩარჩო-ხელშეკრულებას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის ფარგლებში საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა ევროკავშირს კიდევ უფრო დაუახლოვდებიან. საუბარია პარტნიორობის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში. საქართველოს დელეგაციაში იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე. 8 მაისს პრალაშივე გაიმართება ევროკავშირის სპეციალური სამიტი, რომელიც ენერგეტიკულ საკითხებს მიეძღვნება. **ჯი-ეი-ენი**

საგარეო უწყება საერთაშორისო საზოგადოებისგან რეაგირებას ითხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო საზოგადოებისგან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო კონტინგენტის მოხიზვას რეაგირებას ითხოვს. საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა კიდევ ერთხელ შეაჯამა ის საერთაშორისო რეაქცია, რაც საზღვრის ერთობლივი კონტროლის შესახებ მოსკოვში შედგენილ, კოკოთასა და ბაგაფშის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას მოჰყვა.

“ეს არის ნებისმიერი საერთაშორისო სამართლის ნორმის დარღვევა. სერგეი ბაგაფშმა თავისუფალი ევროპის რადიოს ჩრდილოკავკასიის განყოფილებისთვის მიცემულ ინტერვიუში თითონვე ახსენა, რომ ორივე რეგიონში, დაახლოებით, 10 ათასი რუსი სამხედრო განთავსდება,” - განაცხადა კაჭკაჭიშვილმა. კაჭკაჭიშვილი ასევე შეეხო საქართველოში დაგეგმილ ნატო-ს სწავლებას და 6 მაისს ნატო-საქართველოს საბჭოს სხდომას, რომელიც ელჩების დონეზე ბრიუსელში გაიმართება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ წვრთნების ჩატარება საქართველოს სუვერენული უფლებაა.

“ნატო-საქართველოს საბჭოს წევრები, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიან საქართველოში დღეს შექმნილ სიტუაციას, ვგულისხმობ საპროტესტო აქციებს. ასევე, ბუნებრივია, განხილული იქნება ის ორი წვრთნა, რომლებიც საქართველოში 6 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით ჩატარდება. დისკუსიის საგანი ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის განახლება იქნება,” - განაცხადა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა. **ჯი-ეი-ენი**

პიკეტირების და ულტიმატუმის მასშტაბები

პირველი გავრცედა

თუკი ოპოზიციის მოთხოვნა არ შესრულდება, სააკაშვილის ხელისუფლების რადიკალური ოპონენტები 11 მაისს აპირებენ ცენტრალური მაგისტრატების დაბლოკვას. სანიკიძის თქმით, ეს პროცესი სააკაშვილის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომამდე გაგრძელდება. თუმცა, მოგვიანებით, ოპოზიციის გეგმებს ახალი დეტალი დაემატა. სანიკიძემ დასძინა, რომ, თუკი არ იმოქმედებს პრეზიდენტისთვის 72 საათით მიცემული ვადა, ოპოზიციას განზრახული აქვს საქართველოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტების პიკეტირებაც. სწორედ ამის გამო არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა წინასწარ მოუხადეს პოლიციის სომხეთს, თურქეთს, აზერბაიჯანს და ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც ტვირთის ტრანსპორტირებისთვის საქართველოს ტერიტორიას იყენებენ. მანამ, სანამ აღნიშნული გეგმა განხორციელდება, არასაპარლამენტო ოპოზიცია დღეს ერთი საათით დაკეტავს თბილისთან დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალს. კერძოდ, დაიბლოკება დედაქალაქის რუსთაველი გზაგასაყარი მოედანი; აგრეთვე, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალი.

გუშინ რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო მიტინგზე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საპროტესტო აქციების არეალის გაფართოების მთავარი მიზანია, აიძულონ პრეზიდენტი სააკაშვილი პირისპირ შეხვედრა გამართოს

ოპოზიციასთან. **“მე მას ვუბნები, შეგვხვდეს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას. შემხვდეს, რათა ჩემი სათქმელი ვუთხრა პირადად, თუმცა მე კარგად ვიცი, რომ ის არანაირი შეხვედრისთვის მზად არ არის და ყოველგვარი განცხადებები დიალოგის შესახებ დასავლეთისთვის დადგმული და გაკეთებული პიარ აქციაა,”** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. “ალიანსი საქართველოსთვის” წევრ ზურაბ აბაშიძის აზრით, საავტომობილო მაგისტრალის პიკეტირებამ შესაძლებელია მოქალაქეებში პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბაშიძის თქმით, ალიანსი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ცენტრალური საავტომობილო გზების პიკეტირებაში. გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები რეგიონებში საპროტესტო კერების შექმნის შესახებ მსჯელობენ. თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლები პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ალტერნატიულ გზებსაც განიხილავენ. ზურაბ აბაშიძემ “24 საათს” განუმარტა, რომ **“ქუჩის აქცია არის ერთი პროცესი, ხოლო მეორე არის მოლაპარაკებები მაგიდასთან.”** ამიტომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები ისევე ელიან ხელისუფლებასთან შეხვედრას, თუმცა მმართველი პოლიტიკურ ძალას მოლაპარაკებების დასაწყებად კონკრეტული ადგილისა თუ თარიღის შესახებ წინადადებები მათთვის არ წარუდგინა. რაც შეეხება საკუთრება “ალიანსი საქართველოსთვის” პოზიციას, ზურაბ

აბაშიძის თქმით, ალიანსი საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისთვის კონკრეტულ თემებს ამუშავებს. მასში მოიაზრება შექმნილი ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გზით.

არასაპარლამენტო ოპოზიციის გეგმა გააკრიტიკა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ. ის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის პიკეტირებას განიხილავს, როგორც კონტრპროდუქტიულ ნაბიჯს. ამავდროულად, თარგამაძე მიიჩნევს, რომ ეს არის შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში დაგეგმილი ნატო-ს სამტაქო სამეთაურო და საველე წვრთნების ჩატარებისთვის. **“ქრისტიან-დემოკრატები” მოუწოდებთ, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებას და ასევე რადიკალური ოპოზიციის წინაშე, რათა შიდა ტაქტიკური პოლიტიკური ბრძოლები არ აქციონ საერთო ეროვნული ინტერესების სანაღმდეგო მოქმედებად. ამან ქართული სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი შეიძლება სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს,”** - აღნიშნა “ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის” ლიდერმა.

ხელისუფლების პოზიცია

არასაპარლამენტო ოპოზიციის გეგმის შესახებ ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა შინაგარეო საქმეთა სამინისტრომ. ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალგანი უწყება კონკრეტულ გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც ცენტრალური გზების გადაკეტვა რეალურად დაინიშნება.



ბაიანა ხაჩატურიანი

ძვირფასო მეგობრებო, დღეს ჩვენ ვემშვიდობებით საქართველოს ღირსეულ მოქალაქეს, ჩვენი დროის გამორჩეულ ხელოვანს, ქალბატონ გაიანე ხაჩატურიანს. მისმა შემოქმედებამ, როგორც რჩეულთა ხვედრია, საერთაშორისო აღიარება თავისი ნიჭიერებით და თვითმყოფადობით მოიპოვა.

გაიანე ხაჩატურიანის სახელი გამორჩეულად ძვირფასი და საამაყოა, როგორც სომეხი, ასევე ქართველი ხალხისათვის. მისი ფენომენი ხომ ამ ორმა ქვეყანამ შვა, მისი შემოქმედება ამ ორი კულტურის ნიაღვრებიდან იღებდა საზრდოს, ხოლო მისი ცხოვრება, პიროვნული და მოქალაქეობრივი თვისებები, ქართველი და სომეხი ხალხების ჭეშმარიტი სიყვარულის, ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ნათელი გამოხატულება გახლდათ.

დღეს გაიანე ხაჩატურიანის სახელი უერთდება საქართველოში დაბადებულ და მოღვაწე სომეხ ხელოვანთა მთელ პლეადას - ბაშიზჯალიანს, ბაჟბეუქ-მელიქოვს, ფარაჯანოვს, ჯოტოს (გ. გრიგორიანი), დილბარიანს, ბოილჩიევს... დარწმუნებული ვართ, რომ ქართულ ნიაღვრეში შობილ სომეხ ხელოვანთა შემოქმედება მუდამ დაამშვენებს ამ ორი ხალხის მდიდარ კულტურას.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქალბატონ გაიანეს საქართველოსადმი იმ დიდი სიყვარული-სათვის, რითაც ასე გაჯერებულია მისი შემოქმედება.

მიხეილ სააკაშვილი

დიალოგის დიალექტიკა

ბიორგბი ასანიშვილი

ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმ თბილისიდან გამგზავრების წინ საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას რეკომენდაციები დაუტოვა.

“ქუჩის აქციების ჩატარება დემოკრატიული პროცესია. ეს არის პროტესტის გამოხატვის ლეგიტიმური ფორმა. ამიტომ, ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა მოუსმინოს აქციის მონაწილეებს. მით უმეტეს, არჩებობს საკითხები, რომლებზე მოლაპარაკება შესაძლებელია - მაგალითად, ძალთა განდანაწილების, მედიასაშუალებების და საარჩევნო ადმინისტრაციების საკითხებზე. რაც შეეხება ოპოზიციას, პასუხისმგებლობა მისი მხრიდანაც უნდა იყოს გაზიარებული. ასე რომ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა აუცილებელია. ეს ჩვენი ერთმნიშვნელოვანი რეკომენდაციაა,” - აღნიშნა პიტერ სემნებიმ, რომელიც რამ-

დენიმე დღეში კვლავ გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას.

ევროკავშირის წარმომადგენლის ამ მონაგებას საქართველოს ხელისუფლება უმაღლესი გამოხმაურა. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთლის თქმით, უახლოეს დღეებში გაირკვევა, კონკრეტულად ვინ მიიღებს მონაწილეობას დიალოგში და რა ფორმატით წარმართება მოლაპარაკებების პროცესი.

“აღნიშნული საკითხი მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ბიუროს სხდომაზე,” - აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

პარლამენტის ბიუროს სხდომა კი გუშინ, თბილისის ნაცვლად, გორში, მუნიციპალიტეტის შენობაში ჩატარდა. მისი მიმდინარეობისას მართლაც იყო საუბარი დიალოგისა და მოლაპარაკებების აუცილებლობაზე, თუმცა რამე კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

ბიუროს სხდომაზე პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია გამოვიდა ინიციატივით, რომ ვითა-

რების განმუხტვის მიზნით, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს.

“მისასალმებელია, რომ ხელისუფლება მზად არის დიალოგისა და ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებისთვის. სხვაგვარად სიტუაცია ვერ განიშუხტება. დიალოგისა და მსჯელობის საგნად კი შეიძლება იქცეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების საკითხი,” - განაცხადა დავითაია და გამოთქვა მზადყოფნა, რომ მის მიერ ინიცირებული საკითხების თაობაზე ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვედრას.

თუმცა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მის შეთავაზებას არანაირი პერსპექტივა არ აქვს: პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ყოველგვარ ვადამდელ არჩევნებზე მსჯელობას გამორიცხავს და აცხადებს, რომ ეს არ შეიძლება გახდეს მოლაპარაკებების საგანი.

სპიკერის თქმით, ხელისუფლების პოზიცია უცვლელია: ვი-

კური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალგანი უწყება კონკრეტულ გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც ცენტრალური გზების გადაკეტვა რეალურად დაინიშნება.

საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციის გეგმები პოლიტიკურად შეაფასა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა. იგი დარწმუნებულია, რომ ცენტრალური მაგისტრალის და დედაქალაქის შესასვლელების ჩაკეტვა ყველაზე მეტად თავად ოპოზიციას დაახარავს. **“ასეთი ფორმის გადაწყვეტილებები საზოგადოებაში გამოიწვევს თავად ოპოზიციის სრულ დისკრედიტაციას,”** - განმარტა წერეთელმა. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გასული წლის აგვისტოს ომიც გაიხსენა. **“მთელი მსოფლიო აღშფოთდა, როცა მაგისტრალები რუსებმა გადაკეტეს და აბსოლუტურად მიუღებელი იქნება, თუკი ამას საკუთარი ხელით გავაკეთებთ. საგზაო მაგისტრალისა თუ რკინიგზის გადაკეტვა სიკეთეს ნამდვილად არავის მოუტანს, მით უფრო, რომ ჩვენ ეს გზა უკვე გამოვლილი გვაქვს,”** - აღნიშნა წერეთელმა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ოპოზიციის გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისგან თავი შეიკავა. ვიცე-სპიკერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ხელისუფლების მზადყოფნა პოლიტიკური რეკომენდების განხორციელების მიზნით მოლაპარაკებების დაწყებისათვის.

გაკვეთილი რუსეთისათვის

პირველი გვარდიანა

ნატო-საქართველოს კომისიის ხელშეწყობით გაეროს მიერ დაარსებული მსხვილი მხარე გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელთა დონეზე გაიმართება. ქართულ მხარეს გაერთიანებული შტაბის უფროსი დევი ჭანკოტაძე წარმოადგენს. გარდა ამისა, ჭანკოტაძე მონაწილეობას მიიღებს ალიანსის წევრი ქვეყნების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელთა ხელშეწყობით, რომელიც 7 მაისს გაიმართება. ამ ხელშეწყობა რუსეთის გენშტაბის უფროსიც იყო მიწვეული, თუმცა საქართველოში დაგეგმილი ნატო-ს წვრთნებისთვის გამოცხადებული პროტესტის ნიშნად იგი ბრიუსელში აღარ ჩავა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელ დევი ჭანკოტაძის განცხადებით, იგი ბრიუსელში ორ საკითხს განიხილავს - ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობას და რეფორმებს ქართულ შეიარაღებულ ძალებში.

როგორც გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, ნატო-საქართველოს კომისიის ხელშეწყობით გაიმართება საქართველოს მიერ ყოველწლიური

ეროვნული გეგმის შესრულება, ასევე რუსეთი-ნატო-ს ურთიერთობები და ნატო-საქართველოს კომისიის სხვა ფორმატებში ჩატარების გეგმები - თავდაცვის მინისტრების და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ასევე მიიჩნევენ, რომ კომისიის ხელშეწყობით გვერდს ვერ აუვლიან საქართველოში ალიანსის ეგიდით წვრთნების ჩატარებას, რომელიც 6 მაისიდან დაიწყება და 1 ივნისამდე გასტანს. **“ნატო-საქართველოს საბჭოსა და კომისიის ხელშეწყობით შეუწყობს საქართველოს ნატო-სთან დაახლოებას,”** - აღნიშნა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა.

“ნატო-მ ძალიან მკაფიოდ დააფიქსირა, რომ აგრძელებს საქართველოსთან თანამშრომლობას იმ პირობებშიც, როდესაც რუსეთი ამის წინააღმდეგ ღიად და დემონსტრაციულად გამოდის. რუსეთმა, საბოლოო ჯამში, ძალიან კარგად გაკვეთილი მიიღო,” - განაცხადა, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ.

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ნატო-მ გუშინ კიდევ ერთხელ დააფიქსირა. რუსულ სააგენტო “რია ნოვოსტისთან” სა-

უბრისას, ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ დაგმო რუსეთის მიერ სეპარატისტებთან “შეთანხმებების გაფორმება” და რუსი მესაზღვრეების საქართველოს ტერიტორიაზე ჩაყენება.

“ეს ევროკავშირის შუამავლობით 12 აგვისტოსა და 8 სექტემბერს დადებულ შეთანხმებათა აშკარად დარღვევაა. ეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების ინტერესებში არ შედის,” - განაცხადა აპატურაიმ. მან აღნიშნა, რომ ალიანსი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

გარდა ამისა, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ჩეხეთმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც შემოთავაზებულია გამოთქვა რუსული მხარის ნაბიჯის გამო, რადგან ხელშეკრულებების დადება სეპარატისტულ რეგიონებთან ექვსპუნქტიან სამშვიდობო შეთანხმებას ეწინააღმდეგება. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აუცილებლად მიიჩნევს უსაფრთხოების პრობლემების განხილვას საერთაშორისო ფორუმებზე, კერძოდ, ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში.

ლეგიტიმაციის მსდელობები

ნათია მსხილაძე

საქართველოს კონფლიქტის რეგიონებში უპრეცედენტო რაოდენობის რუსული სამხედრო ძალა შეყვანილი. გასულ კვირას მოსკოვმა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო იდეოლოგიის საზღვრების ერთობლივი კონტროლის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულებების იმპლემენტაცია დაიწყო. ადმინისტრაციული საზღვარი უკვე გაძლიერებულია გალის სასაზღვრო პერიმეტრზე. ქართულმა მხარემ კრემლში კოკოთთან და ბავაშვიანთან ხელმოწერილი დოკუმენტები საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად შეაფასა.

ქართული მხარე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასაძლიერებლად რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს გმობს.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, ეს ნაბიჯები იდგმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან საზღვრების დაცვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელსაც გმობს საერთაშორისო თანამეგობრობა. **“რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ყველანაირად ცდილობს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ლეგიტიმაციას. რუსეთის ეს ქმედება საერთაშორისო სამართლის ყველანაირი ნორმის დარღვევაა,”** - აღნიშნა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა

ასევე, ზემო აფხაზეთში ქართველების სახლებში რუსებს ჩაასახლებენ. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, კოდორში ქართველების ქონებას რუსი ჯარისკაცების ოჯახებს გადაუნაწილებენ. იგეგმება ზემო აფხაზეთის საკურორტო ზონად გამოცხადება, რის შემდეგაც კოდორში დასვენების მსურველებს რუსეთიდანაც მიიწვევენ.

კოდორის ხეობაში ქართველების დატოვებული სახლები რუსი სამხედროების ჩაასახლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაიაც ადასტურებს. **“კოდორის ხეობაში დამატებითი რუსული სამხედრო ძალა და ტექნიკა შეყვანილი. რუსი სამხედროები ქართველების დაცარილებულ სახ-**

ლებს იკავებენ და ამ ფონზე ცინიკურად უღერს მარიონეტული რეჟიმის განცხადება, რომ მზად არიან, დევნილები დააბრუნონ,” - აღნიშნა მალხაზ აქიშბაიამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, ენგურის ადმინისტრაციულ საზღვართან რუსი მესაზღვრეების განლაგება ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილებისა და მათეობით პრობლემებს შეუქმნის. **“ეს ნაბიჯები რუსული აგრესიული პოლიტიკის მორიგი გამოვლინებაა. ჩვენ ამ საკითხს მთელი სიმწვავეთ დავაყენებთ ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მომდევნო რაუნდზე. მიმართა, რომ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი. ამასთან, რუსეთის ნაბიჯების მხოლოდ დაგმობით არ უნდა შემოვიფარგლოთ და კონკრეტული ნაბიჯები გადავფაო,”** - აღნიშნა აქიშბაიამ.

რაც შეეხება ზემო აფხაზეთის საკურორტო ზონად გამოცხადებას, ქართული მხარე მოუწოდებს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებას, ნუ დაავინწყება, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საუბრობენ. **“როგორც ჩანს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ტურისტული სააგენტოს ფუნქციებსაც ითავსებს, რადგან სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები აფხაზეთის კურორტების მიმხედველობის შესახებ ოფიციალურ განცხადებებს აკეთებენ,”** - აღნიშნა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა.

აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებულ ძალებში განვევა იწყება

გარდა იმისა, რომ საზღვრებთან რუსული საჯარისო დანაყოფებია მობილიზებული, სეპარატისტულ აფხაზეთში მაისის შუა რიცხვებიდან ე.წ. შეიარაღებულ ძალებში განვევა დაიწყება. **“ზოგადად, სეპარატისტებთან სამხედრო განვევას გეგმიური ხასიათი აქვს და ისინი ამ განვევებს ჩვეულებრივად წელიწადში ორჯერ ატარებენ - გაზაფხულზე და შემოდგომაზე,”** - აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორი თორნიკე კილაჩავა.

თორნიკე კილაჩავას განმარტებით, სეპარატისტების განსაკუთრებული აქცენტი ამ დროს, რა თქმა უნდა, აფხა-

ზეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასა და ახალგაზრდებზე კეთდება.

განვევის გამოცხადების დღიდან უმეტესად გალის რაიონის ქართულ სოფლებში ქართველი ახალგაზრდების მოძებნის მიზნით პატრულირებას იწყებენ სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირებები. გალის რაიონის ქართული მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავი აარიდოს სეპარატისტთა ჯარში განვევას და ამის თანმდევ დამცირებას.

შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებების დაწყებისთანავე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, უმეტესად კი - ქვეყანაში დასახლებული ახალგაზრდები, ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთას იწყებენ. **“ზოგი ადგილზე იმალება, ზოგი საზღვარს გადმოიდის და დროებით ზუგდიდის რაიონს ატარებს თავს. ამჟამად აფხაზურ ე.წ. ჯარში ორი ათეულამდე ქართველი ეროვნების ახალგაზრდა მსახურობს,”** - აცხადებს კილაჩავა.

სეპარატისტული აფხაზეთი გაერო-ს ულტიმატუმს უყენებს

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი 17-18 მაისისთვის არის დაგეგმილი. კონსულტაციების საწარმოებლად ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები, პიერ მორელი (ევროკავშირი), იოჰან ვერბუკი (გაერო) და ხარლამპოს ხრისტოპულოსი (ეუთო) სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ ლიგაი შამბას შეხვდნენ. შეხვედრის დღიერი ნაწილი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. **“ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებთან დაკავშირებული საკითხები განვიხილეთ. აფხაზური დელეგაციის მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება გაერო-ს, უფრო სწორად კი, გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ 15 მაისს გაკეთებული მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი გაერო გაითვალისწინებს შეცვლილ სიტუაციას და აფხაზეთს აღარ უწოდებს საქართველოს ნაწილს, ხოლო გაერო-ს მისიას არ დააფიქსირებს გაერო-ს მისიას საქართველოში, ჩვენ ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მივიღებთ,”** - განაცხადა შამბამ.

გავლენის კრივილაბირი სფერო

პირველი გვარდიანა



რუსეთის სასაზღვრო დაცვის ჩამოსვლის გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, მოსკოვი აღიარებს თუ იერთებს ორ ქართულ ტერიტორიას. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთი იმყარებს პოზიციებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც და ამით უახლოვდება იმას, რომ მისი საქციელი საყოველთაოდ დაიგმოს.

“შეთანხმებების ჩარჩოები ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დაცვას. სინამდვილეში კი, “შეთანხმებები” წარმოადგენს რუსეთის კიდევ ერთ მცდელობას, გააძლიეროს სამხედრო ძალების ზრდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში და ხელი შეუწყოს ოკუპაციის პროცესის ლეგიტიმაციას,” - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 30 აპრილის განცხადებაში.

“თქვენ არ შეგიძლიათ დააკანონოთ ისეთი რამ, რაც დასაწყისშივე არასამართლებრივია. ეს ძალიან სახიფათოა ყველასთვის, თვით რუსეთის ჩათვლით,” - დაამატა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვარშავიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა “ნიუ-იორკ თაიმსთან” საუბარში მკაფიოდ აღნიშნა ახალი საფრთხე, რასაც თბილისი ხედავს. რუსეთის არმია ადრეც აწარმოებდა საკონტროლო ხაზების პატრულირებას, ფედერალური უშიშროების ძალების განთავსება კი “შესაძლოა, მიზნად ისახავდეს სპეცოპერაციების ინსცენირებას”.

“შეერთებული შტატების გამოთქვამს სერიოზულ შემფოთებას დღეს მოსკოვი რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფალთა შორის ხელმონერილი შეთანხმების გამო... ეს ქმედება არღვევს რუსეთის მიერ 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს,” - განაცხადა ასევე 30 აპრილს ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რობერტ ვუდმა.

იმავე დღეს პრლაში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - ჩეხეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ “ევროკავშირი ღრმად არის შემფოთებული რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ ხელმონერილი შეთანხმებების გამო, რაც ეწინააღმდეგება 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიან შეთანხმებას.”

ბრიუსელში ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ 30 აპრილს განაცხადა, რომ რუსული შეთანხმებები ორ ქართულ სეპარატისტულ ტერიტორიასთან “სრულად ეწინააღმდეგება” ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელი გახდა ევროკავშირის მეშვეობით გასული ზაფხულის ომის შემდეგ, ხოლო რუსეთის ქმედებები “არ ემსახურება მშვიდობისა და სტაბილურობის გრძელვადიან პერსპექტივას მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონში,” - გადმოსცემს საინფორმაციო სააგენტო “დოიჩე პრესე”.

ექვვარეშეა, დასავლეთი იზიარებს უტიაშვილის შემფოთებას იმის გამო, რომ რუსეთის ფედერალური უშიშროების ძალების უწყვეტად განლაგებამ შესაძლოა, დაპირისპირების ხელმეორედ აღდება გამოიწვიოს. ერთი სიტყვით, ეს კიდევ უფრო გამოკვეთილად აყენებს საკითხს, რომელიც დასავლეთმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

დასავლეთის მხრიდან დაგმობის ბოლო რაუნდი - დიპლომატიური სტანდარტებით სწრაფი და ხისტი - მკვეთრად აჩენს დასავლეთის 21-ე საუკუნის დიპლომატიურ პარადიგმასა და რუსეთის მე-19 საუკუნის დროინდელ გეოპოლიტიკურ პარადიგმას შორის უფსკრულს. დასავლეთი დემარშებს გზავნის, რუსეთი კი - ტანკებს.

გაითვალისწინეთ გასულ კვირას ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული გალიზიანება. საქართველოში რუსეთის სასაზღვრო დაცვის ძალების განლაგების განსჯასთან ერთად, ნატო-მ ორი რუსი დიპლომატი ბრიუსელის შტაბბინიდან ჯაშუშობის გამო გააძევა და კიდევ ერთხელ უარყო რუსეთის პრეტენზია საქართველოში პარტნიორობის ფარგლებში მშვიდობიანი სწავლებების ჩატარების მიმართ, თითქოს ამის გამო რუსეთს რამე საფრთხე ექმნებოდა.

“რუსეთი აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ გაოცებულია საქართველოში დაგეგმილი წვრთნებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე სრულად იყო ინფორმირებული ამის შესახებ და კვლავ უარს ამბობს აღნიშნულ წვრთნებში მონაწილეობისთვის მიწვევაზე,” - აღნიშნა აპატურაიმ (რუსეთი, სხვათა შორის, მშვიდობის პარტნიორობის წევრია).

“კიდევ უფრო რთულდება რუსეთის რიტორიკის გამკლავება იმის გამო, რაც ადგილზე ხდება,” - განაცხადა აპატურაიმ.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ რაც ადგილზე ხდება, დასავლეთი ვერ ხედავს ან არ სურს დანახვა. უწოდებთ ამას რაც გნებავთ - რუსეთის “ახლო საზღვარგარეთი”, “ლიბერალური იმპერია” ან თუნდაც “ევრაზია” - რუსეთი ახორციელებს იმას, რასაც მედვედევი “გავლენის პრივილეგირებულ სფეროს” უწოდებს.

დასავლეთის მხრიდან თავაზიანობა კი მოსკოვის ერთ-ერთი იარაღია.

დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვში ვიზიტს აგრძელებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებას არ აპირებს, - ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსი მამა დავით შარაშენიძე იუწყება. შარაშენიძემ პატრიარქის მოსკოვში გამგზავრების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას დეზინფორმაცია უწოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნინო ბურჯანაძე: პიკეტირება შემდგომში მეტი სიმწვავეთი გაგრძელდება

ოპოზიციის ლიდერებმა და აქტივისტებმა "საზოგადოებრივი მათემატიკის" ორი შესასვლელის პიკეტირება განახორციელეს. ოპოზიციამ შენობის ერთ-ერთ შესასვლელთან საკანი დადგა, რომელიც გვირაბის ფუნქციას ასრულებდა. ყველას, ვისაც შენობაში შესვლა სურდა, გვირაბი უნდა გაეწვია.

ოპოზიციის ლიდერთა განცხადებით, მსგავსი პიკეტირება შემდგომში მეტი სიმწვავეთი გაგრძელდება. "მსგავსი პიკეტირება გაგრძელდება, ვინაიდან არ გვაქვს განსაკუთრებული იმედები, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობას შერცხვება და რეალობას შეცვლის. პიკეტირება გაგრძელდება და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით გამართული აქციების თანმდევი იქნება," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

გურჯაანის საკრებულოში "რესპუბლიკელებმა" ფრაქცია შექმნეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "რესპუბლიკელებმა" წევრებმა ფრაქცია "რესპუბლიკელები" შექმნეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის ფრაქცია "რესპუბლიკელების" ერთ-ერთმა წევრმა ზვიად ყვირალაშვილმა განუცხადა, ფრაქცია საკრებულოს წინაშე სხვადასხვა ინიციატივების დაყენებას გეგმავს.

ყვირალაშვილის თქმით, ამ დროისთვის ფრაქცია სამი წევრისგან შედგება. "აქედან, ორი წევრი ფრაქცია "სახალხო მორაბიდან" გადავიდა, ერთი წევრი კი შემოგვვამდა", - განაცხადა ყვირალაშვილმა. ოფიციალური მონაცემებით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოთხი ფრაქცია მუშაობს. ფრაქციის თავმჯდომარის ყოველთვიური ხელფასი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და 650 ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

კახეთში მიკროავტობუსების მძღოლები გაფიცვას აპირებენ

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის გახდა ცნობილი, კახეთის ქალაქებსა და სოფლებს შორის მოძრაობის მიკროავტობუსების მძღოლები ამ დღეებში გაფიცვას გეგმავენ. მათი თქმით, იქნა გამოძინარე, რომ ტაქსების ლიცენზიას და მანქანის ტექნიკურ შემოწმებას არავინ სთხოვს და ისინი არც რაიმე გადასახადს იხდიან, მგზავრებს ავტოსადგომების მიერ დაწესებულ გადასახადზე დაბლა ფასს იმსახურებენ. გარდა ამისა, იქ, სადაც საპატრულო პოლიცია მიკროავტობუსებს გაჩერებას უკრძალავს და მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აჯარომებს, თავისუფლად ჩერდებიან მსუბუქი მანქანები. მიკროავტობუსების მძღოლები აცხადებენ, რომ ტაქსებთან არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. მათივე თქმით, დახმარებისთვის არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ გამგებებს, მაგრამ უშედეგოდ. "პირად საუბარში გვითხრეს, რომ მსუბუქი ავტომანქანით ძალიან ბევრი ადამიანი "ტაქსაობს" და ხელისუფლებამ მათ რომ რაიმე მოთხოვნები წაუყენოს, ამ ეტაპზე არ გამოვაო", - აცხადებენ მძღოლები.

მიკროავტობუსების მძღოლებმა რამდენიმე მიმართულებით მუშაობაზე უარი განაცხადეს დღიდან თქვეს, გაფიცვას კი ოთხშაბათიდან აპირებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

კოპანია "ავერსსა" და საპატრიარქოს შორის მემორანდუმი გაფორმდა

გუშინ კოპანია "ავერსსა" და საპატრიარქოს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლითაც მღვდელ-მონაზვნებს და საპატრიარქოს რეკომენდაციით მისულ პირებს "ავერსის" კლინიკა უფასოდ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს და ასევე უფასოდ გადაეცემათ მკურნალობისთვის საჭირო ყველა მედიკამენტი.

მემორანდუმს ხელს აწერენ უნმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე და "ავერსის" დამფუძნებელი პაატა კურტიანიძე. მემორანდუმი გაფორმდა "ავერსის" ინიციატივით. **ჯი-ეიჩ-ენი**

მიხეილ სააკაშვილის იმიტირებული სასამართლო პროცესი

"ქართული აკადემიის" ერთ-ერთი ლიდერი ნუკრი ქანთარია აცხადებს, რომ პარლამენტის შენობის წინ მიხეილ სააკაშვილის იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართება.

ქანთარიას თქმით, პარლამენტის შენობის წინ დამონტაჟებულ სცენაზე დაიდგება სპექტაკლი და საქართველოს პრეზიდენტს რეალურ ბრალდებებს წაუყენებენ.

"ყველა ბრალდებას საჯაროდ ჩამოვთვლით და ყველა იმ დანაშაულს წაუყენებთ, რომელიც მან საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე ჩაიდინა", - განაცხადა ქანთარიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ქურნალისტიკის "მსვლელები"

თამარ ხორბალაძე

უკვე რამდენიმე დღეა, სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა, გოგა ხაინდრავა და ოპოზიციის სხვა ლიდერები ჭეშმარიტი ქურნალისტიკის მცველებად დგანან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქურნალისტიკებს "სირცხვილის იარლიყებს" აკრავენ და ლიდერებს საუბრობენ, რომ მათზე "მორალურ ზეწოლას" ახორციელებენ.

ზენოლის მიზანი, სავარაუდოდ, ქურნალისტიკის იმ ტიპის "გამოყვანაა", რომელიც რესპონდენტს ეთერში წამოუწვება და მხარზე ფამილარულად შემოუტყაპუნებს ხელს; არ გაუწინდება კითხვები იმის შესახებ, კონსტიტუციურია თუ არა ცარიელი საკნებით ქუჩის გადაკეტვა და მთავარი კითხვა, რომელიც შეაწუხებს, ასეთი იქნება - რატომ არ შეიყვანა ოპოზიციამ ხალხი პარლამენტში, ისევე როგორც 2003 წელს სააკაშვილმა?; ან რესპონდენტთან საუბრის დროს ამაყად განაცხადებს, რომ თავად ნაგვის ფულს არ იხდის (რადგან ეს გაჩეჩილადემ მოგვიწოდდა) და იმ შემთხვევაში, თუ მისი დაუსაბუთებელი, მაგრამ ფაქტად მოყვანილი ამბავი არ დადასტურდება, ეთერშივე ლამის ჩაიცვტყება და "სამკილომეტრიანი ბოლიში" მოხდასაც შეპირდება ხელისუფლებას; ან ოპოზიციის წარმომადგენელს ეთერში თავს დიდხანს "უკანტურებს" და მერე ეტყვის, რომ მასთან მართლაც არაფერი აქვს გასაუფალი. ყოველ შემთხვევაში, ქურნალისტიკა მსგავს ტიპს ოპოზიციამ დღეს "დიდი გასავალი" აქვს. მათთვის სირცხვილის კორიდორი არავის გაუკეთებია და არც სირცხვილის დაფა ან კარავი დაუდგამს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, სხვებზე ნაკლებად არ იმსახურებდნენ. იქნებ, სხვებზე მეტადაც. ამ "ტიპის" არსებობა და "მიღებულობა" ადასტურებს, რომ არც ერთი პოლიტიკური ძალის მიზანი პროფესიონალური და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მედიის არსებობა არ არის და გულუბრყვილობაც კია ამაზე ფიქრი.

ქართულ ქურნალისტიკაში კი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ადამიანი, რომელსაც "ქვის სროლის" მორალური უფლება შერჩა. ამიტომ დღეს პრაქტიკულად არ არსებობს მედიაკრიტიკა. ქურნალისტიკები ერთმანეთის "ტყავს არ გლეჯენ", მაგრამ არც სოლიდარობის ის შეგრძნება არსებობს, რომელმაც მედია ნებისმიერი - როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ზენოლისგან უნდა დაიცვას. ამის საწინააღმდეგოდ ქურნალისტიკები გახლენილი არიან ბანაკებად, რომლებსაც ერთმანეთის ცუდი არათუ აწუხებთ, არამედ - შვებას პვერით.

მაშინ, როცა "საზოგადოებრივი მათემატიკის" ახალგაზრდა ქურნალისტიკები, რომლებიც საკუთარ პროფესიულ ვალს ისე იხდიან, რის საშუალებასაც დრო და სამუშაო სივრცე აძლევთ (ხშირად სხვებზე უკეთესად), პოლიტიკოსების ზენოლისა და მორალური წნეხის ქვეშ ექცევიან, საზოგადოებაში



ნინო ბურჯანაძე

და, რაც მთავარია, მედიაში არ ჩანან ადამიანები, რომლებიც კოლეგების ინტერესებს დაიცავენ - ძირითადად იმის შიშით, რომ თავად არ იქცნენ განრისხებული ოპოზიციის სამიზნედ ან სხვა შემთხვევაში - ობიექტურობის ნიღაბაკრულდება ქართული ქურნალისტიკის ლაფიდან სუფთა ფეხებით ამოსვლა შეძლონ; ზოგჯერ კი იმიტომ, რომ ის ზენოლა, რასაც ეთერში ხედავენ, გულს ფხანთ.

თუმცა ეს პროცესი 2009 წელს არ დაწყებულა; არც 2008 წლის გაზაფხულზე, როცა ხელისუფლების საშვიდნომბრო შეცდომებს და ოპოზიციის მიერ სახის შენარჩუნების სურვილს ერთადერთი - "საზოგადოებრივი მათემატიკის" მენეჯმენტი გადაჰყვა; როცა სამეურვეო საბჭოს წევრები პარტიებმა ისე გადაინანილეს, როგორც 90-იანი წლების საქართველოში იოსელიანის "მხედრობა" და კიტციანის გვარდიამ ჯიხურებზე გავლენა. მაშინ პრაქტიკულად არავის გაუპროტესტებია ის, რომ "საზოგადოებრივი მათემატიკის" საბჭო პარლამენტის მამინდელი სპიკერის ნინო ბურჯანაძის კაბინეტში კომპლექტდებოდა და ტელევიზიის დირექტორის არჩევნების ვადაც სწორედ ბურჯანაძის თხოვნით გაახანგრძლივეს, რათა მის მიერვე ლობირებულ კადრზე შეჯერება მომხდარიყო. მაშინ ეს პროცესი ოპოზიციისთვის მიღწევა იყო, საზოგადოებისთვის - ქირქილის საგანი. დღეს კი კარგი მაგალითია იმისთვის, როგორ ესმის ოპოზიციონერ ბურჯანაძეს მედიის, კონკრეტულად კი საზოგადოებრივი ტელევიზიის თავისუფლება.

თუმცა ყველაფერი არც 2008 წლის გაზაფხულზე დაწყებულა. არც 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ხელისუფლებამ საგანგებო ვითარების გამოცხადებაც კი არ მიიჩნია საჭიროდ, სანამ "ტელევიმედში" შევარდებოდა, ქურნალისტიკებს მიწაზე დაყრიდა და იარაღს მიიბჯენდა. მაშინ საზოგადოების ხმა, ისევე როგორც მედიისა, ისევე სუსტი იყო, როგორც შემდგომში და მანამდე; თუმცა არც ეს იყო დასაწყისი.

მანამდე იგივე "ტელევიმედს" ხელისუფლებამ ბოიკოტი გამოუცხადა, "ტელევიმედმა" კი "რუსთავი 2"-ის გამოცდილების გამოერება სცადა, თუმცა ამ გამოცდილებიდან ვერაფერი ისწავლა.

არადა, გამოცდილება მწარე გახლდათ - იმ დროისთვის უკვე იყო "გამარჯვებული ხალხის ტელევიზია", რომლის ქურნალისტიკებმაც წარმოიდგინეს, რომ ქვეყანა თავად შეცვალეს და ისე ამბიციური მათი ქურნალისტიკური კარიერის დასასრულის დასაწყისიც გახდა. მაშინ ამ დასასრულის დასაწყისს ნიშნის მომადგენლები, რომლებიც ხელისუფლებასთან მისასვლელ გზას თავადაც ეძებდნენ და ბევრმა წარმატებით იპოვა კიდევ. თუმცა არც ეს იყო საწყისი.

კიდევ უფრო ადრე სახელმწიფო კანცელარიაში "რეგულაციური მედიისთვის" ანონსების დამალვა დაიწყეს, ბოიკოტიც გამოუცხადეს, შემდგომში "დამარცხებული ტელევიზიების" წარმომადგენლები კი ისე ურჩევდნენ საქმეს მომავალში "გასამარჯვებლებს", როგორც ნამდვილი პოლიტიკური მტრები.

მანამდე იყო ე.წ. შევარდნა "რუსთავი 2"-ში; იყო "პირველი არხის" გუნდის გამოსვლა არხის ხელმძღვანელობისა და "საკუთარი პრეზიდენტის" დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური სკლეროზი მედიისა და პოლიტიკოსების საერთო სენად იქცა, უახლოესი ისტორიის გადახედვა ცხადყოფს, რომ ქართული მედიის ისტორია ქურნალისტიკა დაპირისპირების ისტორიაა. წარმატებულ ქურნალისტიკა დიდი ნაწილის წარმატების საიდუმლო პოლიტიკურ ძალებთან დაახლოების უნარებთანაც გახლდათ დაკავშირებული და არა მხოლოდ პირად ნიჭიერებასთან, რამაც საბოლოოდ ქურნალისტიკები საკუთარი პოლიტიკური კავშირების მძევლებად აქცია. მედიაამფლობელების პოლიტიკურმა პოლარიზაციამ კი პრაქტიკულად მოსპო სივრცე ობიექტური ტელექურნალისტიკისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კანონმდებლობის დონეზე ქურნალისტიკის სარედაქციო დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია, კანონი მათემატიკის შესახებ კი ტელევიზიას დამოუკიდებლობის ცივილურ - ევროპულ გარანტიებს უქმნის, რეალურად ამ კანონების მოქმედებაში მოყვანა ვერ ხერხდება - პირველ რიგ-

ში, სწორედ იმის გამო, რომ ქურნალისტიკები არჩევანს არა პროფესიულ კონსოლიდაციაზე, არამედ პარტიული სიმპათიების მიხედვით დაყოფილ გუნდებზე აკეთებენ; ამასთან, ხშირად იმაზე შეუორიგებლები არიან საწინააღმდეგო აზრის მიმართ, ვიდრე თავად პოლიტიკოსები; სწორედ დაქსაქსულობის გამო ქურნალისტიკები ვერ აღწევენ დამკვირვებლებთან ნორმალური კონტრაქტების გაფორმებას, არ არსებობს ცივილური მედია-ადვოკატირების სისტემა, რაც დასავლეთში ქურნალისტიკის დამოუკიდებლობის წინაპირობებს ქმნის; სწორედ ამის გამო ვერ ახერხებენ, "წაართვან" მედიის თავისუფლების გარანტიები ხელისუფლებასა თუ ხელისუფლებაში მოსვლის მსურველ ოპოზიციას, რომლებიც ბუნებრივად მოწოდებული არიან მედიის გაკონტროლებისთვის, რადგან არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ გავლენას საკუთარი ნებით დათმობს.

P.S. ქურნალისტიკების კონსოლიდაციის კარგი მაგალითი იქნებოდა ყველა ქურნალისტიკის მიერ ოპოზიციის აქტივობების გაშუქებაზე უარის თქმა იმ ვადით, რა ვადითაც ისინი გაავრცელებდნენ პერსონალურ მორალურ ზეწოლას ქურნალისტიკებზე, რისი მაგალითიც "საზოგადოებრივის" პიკეტირების ამ დღეებში გამოყენებული ფორმაა. ან, როგორც მინიმუმ, სირცხვილის დერეფანთან მისვლა და ამ გზის საზოგადოებრივი მათემატიკის ქურნალისტიკებთან ერთად გავლა. თუმცა ფაქტია, რომ დღევანდელ სიტუაციაში ქურნალისტიკების მხრიდან ეს აქტი არ შედგება. ფაქტია ისიც, რომ, თუ ქურნალისტიკებმა თავად არ გადაწყვიტეს არსებული ვითარების შეცვლა ერთობის დემონსტრირებისა და პროფესიონალური ქურნალისტიკური სტანდარტების პრაქტიკაში დამკვიდრების გზით, პოლიტიკოსებს ყოველთვის გაუწინდება პრეტენზია, დადგენ "ჭეშმარიტი ქურნალისტიკის" დასაცავად, შევიმოწონ საბუთები და "პოლიტიკური მოსაზრებები". ასეთ შემთხვევაში კი, ერთხელაც სირცხვილის დერეფნის გავლა რომელიმე ხელისუფლების ან რომელიმე ოპოზიციის პირობებში ყველა ჩვენგანს მოუწევს.

საკონსტიტუციო სასამართლო - პირველი ნაბიჯი დეცენტრალიზაციისკენ

თამარ ქაშირაძე



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შაპუაშვილი

ორ წელზე მეტი დრო გავიდა, მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ქვეყნის დედაქალაქიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადაინაცვლა. ამ ინიციატივას თავის დროზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ცენტრიდან მოშორების შემდეგ, განსახილველი სარჩელების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შაპუაშვილი თვლის, რომ ამ მხრივ, არც სტატისტიკურად და არც შინაარსობრივად საკონსტიტუციო სასამართლოში შესული საქმეების რაოდენობა არ შემცირებულა. გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შაპუაშვილთან.

- ბატონო გიორგი, საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანას ოპონენტები მრავლად ჰყავდა, აცხადებდნენ, რომ დედაქალაქიდან მისი რეგიონში გადასვლა შაფერხებდა მის მუშაობას. საინტერესოა, თქვენი აზრი, გაამართლა ამ ნაბიჯმა?

- საკონსტიტუციო სასამართლო იყო პირველი მერცხალი, რომელიც თბილისიდან ბათუმში გადავიდა და შეიძლება ითქვას, რომ ყველა მიზანი, რომელიც თავის დროზე ჩადებული იყო ამ ნაბიჯში ფაქტობრივად შესრულდა. ჯერ ერთი - ამით დაიწყო ქვეყნის დეცენტრალიზაცია, უკვე რამდენიმე სერიოზული სტრუქტურა გადავიდა რეგიონებში, კერძოდ, ქუთაისში. და მეორე, საკონსტიტუციო სასამართლოს აჭარაში გადასვლით ბათუმის და, მთლიანად, რეგიონის სტატუსმა აინა. ფაქტობრივად, ბათუმი კონსტიტუციური მართლმსაჯულების აღსრულების დედაქალაქი ხდება. ხოლო წინააღმდეგობრივი საგანმანათლებლო თვალსაზრისით, იგი შავი ზღვისპირეთის ცენტრად გადაიქცა, რადგან ჩვენი ინიციატივით ხშირად ტარდება შავი ზღვისპირეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების შეხვედრები. ამასთან, იმართება სამეცნიერო სემინარები, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ ინსტიტუტის აჭარაში გადასვლა, მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოების სამართლებრივი განვითარებისათვისაც, რადგან მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები საკმაოდ კვალიფიცირებულნი არიან და მათ საშუალება აქვთ იურიდიულ დაწესებულებებში ლექციები წაიკითხონ. რაც ხელს შეუწყობს განათლების დონის ამაღლებას.

მოგეხსენებათ, იურიდიული განათლების დონე, მთლიანად საქართველოში ძალიან დაბალია, მით უმეტეს, ამ რეგიონში, რომელიც წლების განმავლობაში ჩაკეტილი იყო, რის გამოც, კვალიფიციური კადრები აქედან გარბობდა. სამაგიეროდ, აქ სამართალს პოლიციელები და გაურკვეველი წარმომავლობის იურისტები ასწავლიდნენ.

- საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის გადაღება აკრძალული არ არის. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თქვენთან ნაკლებად ხმაურიანი საქმეები განიხილება?

- სიმართლე გითხრათ, რაც სა-

კონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვარ, პროცესზე მხარეებს შორის სერიოზული დაპირისპირება არ მომხდარა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია. ამ ეტაპზე სხდომების დახურვის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მუშაობა უფრო გამჭვირვალე იყოს. ამასთან, ვცდილობთ, ამ გზით კიდევ უფრო დავაინტერესოთ საზოგადოება და ყურნაღისტები. ჩვენი კარი ღიაა და ნებისმიერ მოქალაქეს შეუზღუდავად შეუძლია პროცესზე დასწრება. ამასთან, ვაკეთებთ ჩანაწერებს, რომელიც შეგვიძლია ნებისმიერ მოქალაქეს მივაწოდოთ, როგორც საჯარო ინფორმაცია.

- ბატონო გიორგი, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე ინფორმაცია თავსდება, როგორც ქართულ ასევე, აფხაზურ ენაზე.

- ვებგვერდის ხელახალი გადახალისების შემდეგ, სასამართლოს ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეებსა თუ ოპერატიულ ინფორმაციასთან ერთად განვთავსეთ საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება. ჩვენი მიზანია, ამ გადაწყვეტილებებს გაეცნოს, როგორც ჩვეულებრივი მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხვათა შორის, გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ გადაწყვეტილებებით უცხოელი კოლეგებიც ინტერესდებიან და მსჯელობენ მათზე, შემდეგ გვიკავშირდებიან და საკუთარ პოზიციებს გვიზიარებენ. საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გვაქვს რუსული და ინგლისურენოვანი გამოცემა.

მოგეხსენებათ, ჩვეს კონსტიტუციამ ჩადებულია, რომ სახელმწიფო ენა არის ქართული, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული და აფხაზურიც. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვართ მთავარი საკანონმდებლო ორგანო, გადაწყვეტილებები, ვებგვერდი აფხაზურადაც გვაგვეკეთებინა, რათა კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ნაწილი, ამ ენასაც აქვს თავის სტატუსი და ამ მოვალეობას სახელმწიფო არ ივიწყებს.

- არასამთავრობო ორგანიზაციები ირწმუნებიან, რომ არის შემთხვევები, როდესაც საკონსტი-

ტუციო სასამართლო აუქმებს ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმას, მაგრამ პარლამენტი იმავე შინაარსის ახალ მუხლს ამტკიცებს. ეს ხომ არ ასუსტებს საკონსტიტუციო სასამართლოს უზენაესობას?

- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა და ეს კონსტიტუციით უმაღლეს დონეზეა აყვანილი. შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა რაღაც კანონი, მაგრამ პარლამენტმა მიიღო ახალი ნორმა, რომელიც შინაარსობრივად გაუქმებული კანონის ანალოგია. მხარე, თუ თვლის, რომ მიღებული ნორმა კვლავ ანტიკონსტიტუციურია, უფლება აქვს ხელახლა მიმართოს სასამართლოს. ხოლო, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ჩათვლის, რომ მიღებული მუხლი კვლავ შინაარსობრივად გაუქმებულის ანალოგია, ავტომატურად გააუქმებს ამ ნორმას, თუ ჩათვალა, რომ განსხვავებულია, მაშინ, რა თქმა უნდა, ძალაში დატოვებს. სხვათა შორის, ახლა წარმოებაში გვაქვს საქმე, რომელიც "მენარმეთა შესახებ კანონს" ეხება. ერთ-ერთი მუხლი, რომელიც მცირე მენარმეებს ეხება ცოტა ხნის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო და გააუქმა. დღეს მხარე ამტკიცებს, რომ პარლამენტმა ანალოგიური შინაარსის ახალი ნორმა მიიღო და მის ანტიკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს.

- საინტერესოა, თქვენი აზრი საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებაზე?

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჯერ კიდევ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში იყო ჩადებული, მართალია, ეს კონსტიტუცია მაშინ არ ამოქმედებულა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ავტომატურად პროგრესული დოკუმენტი იყო. ასე მგონია, საქართველოში აღარ დარჩა ადამიანი, ვინც იტყვის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ცუდია. ეს სისტემა ძალიან პროგრესულია, რადგან პირის ბრალეულობაზე გადაწყვეტილებას იღებს თავად საზოგადოება, რაც ძალიან დიდი პლუსია. მით უმეტეს, დღეს, როდესაც სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხი არც ისე მაღალია. ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების მიმართ, შეიძლება თავიდან გარკვეული უკმაყოფილება იყოს, რადგან ყველასთვის მისაღები ვერ იქნება,

მაგრამ ამ ინსტიტუტის უკმაყოფილებაზე მეტი სიკეთე იქნება ის, რომ ნაფიც მსაჯულთა ობიექტურობაში ეჭვი არავის შეეპარება.

დღევანდელი მართლმსაჯულების პრობლემა არის ისიც, რომ დღეს პროცესზე გამომსვლელი მხარეები - დაცვაც და ბრალდებაც დიდი პროფესიონალიზმით, ორატორობით და საერთოდ, შეკრებული მტკიცებულებების მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დროს კი მათი სისუსტეები უფრო აშკარა გახდება და ისინი, იძულებულნი იქნებიან უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ საქმეს და მომზადებულები იყვნენ დებატებისთვის.

- ცნობილია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისში ამუშავდება და დამამძიმებელ გარემოებაში მომხდარ განზრახ მკვლელობის საქმეებს განიხილავს. არასამთავრობო ორგანიზაციები თვლიან, რომ ეს არაკონსტიტუციურია და რამდენადაც ჩემთვისაც ცნობილია, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსატანად სარჩელსაც ამზადებენ.

- ჯერჯერობით ასეთი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში არ შემოსულა. ჩვენ მოსამართლეების კი ნებისმიერ სარჩელზე წინასწარ საკუთარი პოზიციის გამოხატვის უფლება არ აქვს.

- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა?

- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია, ანუ ამა თუ იმ კანონის გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, იგი ძალა კარგავს. ისეთი აბსურდი, საქართველოში გაუქმებული კანონი ვინმეს გამოეყენებინა, ჯერჯერობით არ მომხდარა. ასეთი შემთხვევები ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც არ არის პოლიტიკური ერთიანობა და არის დავა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. ამის მაგალითი იყო უკრაინა, სადაც სამართლებრივი პრობლემები პოლიტიკურშია გადასული. ამიტომ ხელი-სუფლების ერთ-ერთი შტო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში სახელისუფლებო შტოებს

შორის დავა არ დამდგარა და აქედან გამომდინარე, არც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაში პრობლემა.

- ბატონო გიორგი, პენიტენციური სისტემაში არსებითი რეფორმები თქვენი იუსტიციის მინისტრობის პერიოდში დაიწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ თქვენი მინისტრობის პერიოდში სასჯელაღსრულების სისტემა სრულიად გამჭვირვალე იყო, როგორც ყურნაღისტებისთვის, ასევე არასამთავრობო სექტორისთვის. დღეს ქვეყანაში ევროპული სტანდარტების ციხე-კოლონიებია, მაგრამ შიგნით რეალურად რა ხდება, არავინ იცის, რადგან ეს სისტემა ყურნაღისტებისა და არასამთავრობო სექტორისთვის დაიხურა.

- აშკარად პროგრესულია ის, რომ ქვეყანაში ახალი ციხეებია. ბიუჯეტი, რომელიც ჩემი მინისტრობის დროს იყო, დღეს გაათმაგებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას უთმობს პენიტენციურ სისტემას. თუმცა, ჩემი მინისტრობის პერიოდში ძალიან ბევრი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. იუსტიციის მინისტრად ერთი წელი ვიმუშავე, 2004 წელს. მაშინ ახალმა მთავრობამ რეფორმები ყველა მიმართულებით დაიწყო, ყურადღების ცენტრში იყო პოლიციის რეფორმა, სამხედრო აღმშენებლობა და ასე შემდეგ. მთავარი საბიუჯეტო რესურსებიც სწორედ აქეთ იყო გადასროლილი. როგორც მინისტრი, რა თქმა უნდა, ვცდილობდი მთავრობიდან მიმეღო გარკვეული ფინანსები, სწორედ მაშინ აშენდა ქუთაისი ციხე, ევროკომისიის დახმარებით დაიწყო რუსთაველის საპყრობის მშენებლობა, ჩვენი მცირე ბიუჯეტით მოვახდინეთ რამდენიმე ციხის რეაბილიტაცია. მთავარი აქცენტი ქალი და არასრულწლოვანი პატიმრებისკენ გვექონდა გადატანილი. ციხეებთან მიმართებაში ორი ამოცანა გვექონდა, ერთი - დაგვეცვა პატიმრების უფლებები და მეორე - უზრუნველვეყო საზოგადოების უსაფრთხოება, რომ გაქცევებს არ ჰქონოდა ადგილი. ყოველთვის მახსოვდა და მახსოვს, რომ პატიმარი ჩვეულებრივი ადამიანია და მათ უფლებებზე უნდა მეზრუნა. მახსოვს ერთი ფაქტი, ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ასაკოვანი "კანონიერი ქურდი" შიმშილობდა და ძალიან ცუდად გახდა. აუცილებელი იყო მისი საავადმყოფოში გადაყვანა, მაგრამ ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ბევრი ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა "შავ სამყაროს" რაღაც ინციდენტი დაგვეგმა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად მქონდა გააზრებული, რომ ძალიან დიდი რისკის ქვეშ ვიყენებდი თავს, ავიღე პასუხისმგებლობა და იგი საავადმყოფოში გადავიყვანე. საბოლოოდ, ის ადამიანი გადარჩა. ჩემი აზრით, ხანდახან როდესაც არაოდინალური სიტუაციაა, ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს კომპრომისებზე წასვლა.

ჩემი მინისტრობის პერიოდში გადაიდგა პირველი ნაბიჯები ქურდების უფლებების შესაზღუდავად - იმ დროს გაუქმდა საკანი "49", მაშინ ეს ძალიან რადიკალური ნაბიჯად ითვლებოდა, იმიტომ, რომ წლების განმავლობაში, ქურდების წარუშლელი ციხეების მართვა წარმოუდგენელად ითვლებოდა. ამიტომ ვცდილობდი, ეტაპობრივად დაგვეწვდინა ეს სისტემა.

ყურნაღისტებთან ერთად ციხეებში ღია იმიტომ დავდიოდით, რომ გვეჩვენებია ის პრობლემები, რომელიც მაშინდელ ციხეში იყო, დასამალი არაფერი გვექონდა.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტარი დავისი ორბანიზაციის მე-60 წლისთავის შესახებ

ახალგაზრდობაში დაბადების დღე ზრდასთან და მომავლისკენ სწრაფვასთან ასოცირდება. შემდეგ, როცა წლების გარკვეულ რაოდენობას უკან მოვიტოვებთ, ის იქცევა შესაძლებლობად, რათა უკან გავიხედოთ და ნაღვანი შევაფასოთ. ლონდონის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-60 წლისთავი კი, რომელმაც 1949 წელს ევროპის საბჭო დააფუძნა, ორივეს საშუალებას გვაძლევს.

60 წლის წინ, ევროპის საბჭოს დაარსებისთვის მზრუნველმა სახელმწიფო მოხელეებმა ზუსტად იცოდნენ, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ. ამიტომ არის ჩვენი წესდება აგრეთვე მოკლე, ცხადი და სადა. ევროპის საბჭო არსებობს იმისათვის, რომ მიაღწიოს "მეტერთობას მის წევრ სახელმწიფოებს შორის, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელებისთვის, რომლებიც მათი საერთო მემკვიდრეობის საფუძველია და ხელი შეუწყოს მის წევრთა ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას". ამისათვის, ის მსჯელობს "ყველასათვის საჭირობო საკითხებზე და მიმართავს შეთანხმებებსა და ერთობლივ ქმედებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შენარჩუნებისა და მათი შემდგომი ხორცშესხმის საკითხებში".

ამრიგად, ათი დამფუძნებელი სახელმწიფოს განსაზღვრებით, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობები პიროვნული თავისუფლების ქვემარტივ წყაროა. მათი აზრით, ამ იდეალების შენარჩუნებისა და ხორცშესხმისთვის აუცილებელია მეტი ერთობა იდეურად მსგავს ყველა ევროპულ სახელმწიფოს შორის. ჩვენ დღესაც სწორედ ამას ვცდილობთ - გამოვწვიოთ საერთო ენა 800 მილიონ ევროპულ მოქალაქეს შორის, რომელიც ცხოვრობს ჩვენი ორგანიზაციის წევრ 47 სახელმწიფოში.

2005 წელს, როცა ვარშავის სამიტზე შეკრებილმა მთავრობათა მეთაურებმა გადახედეს ევროპის საბჭოს პრიორიტეტებს, მათ ევროპის საბჭოს განუსაზღვრეს სამომავლო საქმიანობის სახელმძღვანელო ორიენტირები, რომლის უმთავრესი მიმართულებები გახლდათ ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატიის განმტკიცება და

კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა.

თუმცა, პრაქტიკაში გვხვდება როგორც წინსვლა, ისე შეფერხებებიც. თავისუფლების საზღაური, როგორც ცნობილია, მუდმივ სიფხიზლემია. ევროპა ჯერაც გაურკვეველობის ბურუსითაა მოცული იმ ვარაუდების გამო, რომლებიც უკავშირდება ზოგიერთი ევროპული მთავრობის თანამშრომლებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ პატიმართა საპაერო გადაყვანაში, ხოლო ევროპის საბჭოსთან მიმართებით ეს საკითხი კვლავაც გადაწყვეტის საჭიროებს. მართალია, მძიმეა ამჟამინდელი პრობლემები, მათ არ უნდა მიგვავიწყლონ გასული ექვსი ათწლეულის მიღწევები, რომელთაც აღვნიშნავთ კიდევ მართებულად ამ იუბილზე.

ხოლო საკმაოდ მცირე ხნის წინ ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს ორ წევრ სახელმწიფოს - საქართველოსა და რუსეთს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები დავების მოგვარებისას მშვიდობიანი საშუალებებისადმი მიმართვას მოითხოვდა.

წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებული 200-ე მეტი კონვენცია ცხადყოფს საერთო სტანდარტების დაუღალავ ძიებას მთელ რიგ საკითხებში, რომლებიც მიეკუთვნება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სფეროებს. ისინი შეეხებიან სასკოლო დიპლომების თანაგვარობასა და სამედიცინო დახმარებას, სოციალურ უფლებებსა და ტერორიზმთან ბრძოლას, კიბერდანაშაულსა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობას. ერთობლიობაში, აღნიშნული სტანდარტები დასტურია ყველა წევრი სახელმწიფოს უწყვეტი ძალისხმევითა, ითანამშრომლონ უფრო მჭიდროდ და მათმა მოქალაქეებმა ისარგებლონ ამგვარი თანხმდენილი სტანდარტებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ ისინი.

გარდა ამისა, ევროპის საბჭომ დააარსა ცამეტი სპეციალიზებული ორგანო — ხშირად მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს ინიციატივით შექმნილი, მაგრამ ყოველთვის ღია სხვათა გასანვირებლად. ისინი იხილავენ საკითხებს, როგორცაა მედიკამენტების ძირითად მეცნიერულ განსაზღვრებათა სტანდარ-



ტიზება, კორუფციის საწინააღმდეგო ზომების მიღება, უცხო ენათა სწავლების გაუმჯობესება, ბრძოლა ნარკოტიკების მოხმარებასთან და მათ უკანონო ვაჭრობასთან. თავიანთი სპეციალობის მიღმა ნაკლებად ცნობილ ამ ორგანიზაციის დიდი წვლილი შეაქვთ სტანდარტების დაახლოების საქმეში მთელი ევროპის მასშტაბით, მათი გავლენა ხშირად მსოფლიოსაც სწვდება და სცილდება ყველანაირ საზღვარს, რასაც კი ევროპის საბჭოს დამაარსებლები წარმოიდგენდნენ.

ევროპის საბჭო კვლავაც წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც მეთვალყურეობს ადამიანის უფლებათა დაცვას ჩვენს კონტინენტზე. წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა კომისიის საძიებო საქმიანობის წყალობით, ჩვენ წევრ სახელმწიფოთა სახელისუფლებო ორგანოები - სასამართლოები, პოლიცია, ციხეები - მოქცეულნი არიან ყურადღებანი კონტროლის

წესობას.

რაც შეეხება მომავალს, ევროპის საბჭოს წინაშე ოთხი უმთავრესი ამოცანაა:

1. ევროპული სამართლებრივი სივრცის განმტკიცება. ჩვენ გვჭირდება მრავალი არსებული კონვენციის გადახედვა და შესწორება. ზოგიერთ მათგანი უნდა განახლდეს, ახალ კონვენციათა ფარგლებში კი საქმიანობის ახალი სფეროები დაიხატოს;

2. ადამიანის უფლებათა მაკონტროლებელი სისტემის უფრო მტკიცე ფუნქციონირება. თუმცა გამოვლენა და გაკიცხვა სასარგებლო მექანიზმებია, ევროპის საბჭოს ესაჭიროება დაყვავებისა და დასჯის უფრო ქმედითი ხერხები იმისათვის, რათა უზრუნველყოს წევრ სახელმწიფოთა წინსვლა შეფერხებების გარეშე. უნდა გამოირიცხოს ხელისუფალთა დაუსჯელობა ამა თუ იმ წევრ სახელმწიფოში, თუკი ისინი აჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებას პიროვნებათა საზიანოდ.

3. დახმარების პროგრამების შემუშავება იმ წევრ სახელმწიფოთა სამსახურში, რომელთაც სურთ მეტი წარმატების მიღწევა. ორგანიზაციის ყოველი წევრი პასუხობს ევროპის საბჭოს მაღალ სტანდარტებს და ახერხებს მათ დაცვას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, სხვებთან შედარებით, მეტ თანადგომას საჭიროებს.

4. უკეთესად შეტყობინება იმისა, თუ რას ვაკეთებთ და რა გავაკეთებთ დღემდე. ევროპის საბჭოს მოღვაწეობის უფრო მეტად ხილვადობა დაგვეხმარება იმაში, რომ სახელმწიფოთა მთავრობებმა მეტად გააცნობიერონ ჩვენი მიღწევები, რაც უზრუნველყოფს მათ უწყვეტ მხარდაჭერას მისდამი მეგობრულად განწყობილი ევროპის საბჭოსადმი, რომელიც ზოგჯერ უხერხულობებსაც უქმნით.

ამ ოთხი საკითხის მოგვარებით, ჩვენ შეგვიძლია, დასაბამი მივცეთ პოზიტიურ ცვლილებათა სპირალს, რომელშიც, გაძლიერებული ევროპის საბჭო შეძლებს, დიდი ევროპა აქციოს უკეთეს სივრცედ როგორც ზნეობრივად, ასევე ნივთიერად. ევროპის საბჭო, როგორც ყოველთვის, არის მამოძრავებელი უწყვეტ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს თითოეული ჩვენი სახელმწიფოს მართვის სფეროში ადამიანური მხარეების გამოვლენისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია

სასწავლო პროგრამა

"პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა"

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გინვეთ სასწავლო პროგრამაში: "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა." პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის საფუძვლების შესწავლით; მათთვის, სურვილი აქვს განავითაროს უკვე არსებული ცოდნა ამ სფეროში.

პროგრამა შედგენილია იმდგავარად, რომ სტუდენტებს მიიღონ თეორიული ცოდნა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აგრეთვე განავითარონ ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, არამედ მისი რეალიზაციისათვის. სასწავლო პროგრამის აქცენტი განაწილებულია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლებისა და მიმდინარე დებატების უკეთ გასაცნობად. ამ მხრივ, სტუდენტები მიიღებენ, როგორც საბაზო ცოდნას, ასევე ინფორმაციას თანამედროვე მიდგომებისა და პოლიტიკური პრობლემების შესახებ.

ძირითადი თემები: სტრატეგია და პოლიტიკა; უსაფრთხოების პოლიტიკა; პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ძალა; საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პარადიგმები; პო-

ლიტიკური რისკის შეფასება, ანალიზი და მენეჯმენტი; მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი მოვლენები; დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა; თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში; დაზვერვა, როგორც პოლიტიკა, ორგანიზაცია და პროცესი; დაზვერვა და პოლიტიკა; ინფორმაცია და მისი წყაროები, ინფორმაციის ანალიზი.

სტუდენტთა აღიარება და სტაჟირება

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის სერტიფიკატი. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სტაჟირება ასოციაციაში, გაზეთ "24 საათში" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

პროგრამის ლოგოსტიკა

ლექციები წარმართება ქართულ ენაზე. საკითხავი მასალა მოწოდებული იქნება ინგლისურ ენაზე. ლექციები ჩატარდება კვირაში ოთხჯერ, საღამოს 6:30-9:00 საათებში. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ოთხი სრული სასწავლო კურსი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა ორი თვეა. პროგრამის ღირებულებაა 600 ლარი. მისაღები ლიმიტია 25 სტუდენტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია (შეგიძლიათ შეავსოთ აქ: <http://bmu.li/st4>) არა უგვიანეს 20 მაისისა. სასწავლო პროგრამა დაიწყება 27 მაისს და დასრულდება 31 ივლისს. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: training@air.org.ge

პანდემია უკვე ბოლოა ქვეყანაში

“აქტივობამ იკლო”, თუმცა ვირუსი შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს

მარიკა იაშვილი

პორტუგალია მეოცე ქვეყანა იქცა, რომელშიც ღირსი გრიპი გავრცელდა. ქვეყანაში A/H1N1 ვირუსის შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა ანუ ჟორჟემ ოფიციალურად დაადასტურა. ჯერჯერობით ქვეყანაში ვირუსით დაავადების მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირებულია.

ვირუსი 31 წლის პორტუგალიელ ქალს აღმოაჩნდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ მექსიკიდან დაბრუნდა. მისი ანალიზები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ლაბორატორიაში გამოიკვლიეს. ექიმების აზრით, პორტუგალიის მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მისი მდგომარეობა სტაბილურად უმჯობესდება და შემოთვლების საბაზი არ არსებობს.

ორშაბათის დღის მონაცემებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად დაადასტურა A/H1N1 ვირუსით დაავადების 985 შემთხვევა, რომელთაგან 26 ლეტალური შედეგით დასრულდა. 26 გარდაცვლილიდან 25 მექსიკელი იყო, ერთი კი - ამერიკელი. მექსიკაში, საერთო ჯამში, დაავადების 590 შემთხვევა გამოვლინდა, აშშ-ში კი - 244. ამერიკაში ღირსი გრიპმა ორი წლის ბავშვის სიცოცხლე შეინარა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანი-

ზაციამ ღირსი გრიპით დაავადების თითო შემთხვევა დაადასტურა ავსტრიაში, ჩინეთის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულ სიანგანში, ქალაქ ჰონგკონგში, კოსტა-რიკაში, კოლუმბიაში, დანიაში, ირლანდიაში, იტალიაში, პოლანდიაში, სამხრეთ კორეასა და შვეიცარიაში. დაავადების 85 შემთხვევა დადასტურდა კანადაში, ორი სალვადორსა და საფრანგეთში. გერმანიაში ვირუსით დაავადების 8 შემთხვევა გამოვლინდა, ახალ ზელანდიაში - 4, ესპანეთში - 40, ხოლო დიდ ბრიტანეთში - 15.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ქვეყნებს მოუწოდებს, არ შეასუსტონ ბრძოლა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ.

დაავადება მსოფლიოს 5 კონტინენტზე ოც ქვეყანას მოედო. მათ შორის 11 ევროპის სახელმწიფოა. დაფიქსირდა გრიპის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შემთხვევაც, ამიტომ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, ყურადღების მოქცევა დაუშვებელია. მექსიკის ჯანდაცვის მინისტრი ხოსე ანხელ კორდოვა აცხადებს, რომ A/H1N1 ვირუსის პიკი, რომელმაც ქვეყანაში 25 ადამიანის სიცოცხლე შეინარა, 23-28 აპრილის პერიოდში იყო და ახლა ის ნელ-ნელა უკან იხევს.

“ამჟამად ეპიდემიის გავრცელებამ იკლო”, - განაცხადა კორდოვამ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანი-



ზაციის წარმომადგენელმა გრეგორი ჰარლტმა მექსიკის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებაზე კომენტარის გაკეთებისას მისი სიტყვები დაადასტურა და განაცხადა, რომ “აქტივობის პერიოდი,” სავარაუდოდ, უკვე დასრულდა.

“ჩვენ ვერ შევასუსტებთ სიფრთხილის ზომებს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვირუსი ისევ დაბრუნდეს, განსაკუთრებით - ცივ პერიოდში,” - დაამატა მან.

ამ დროისთვის ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა 6 ქვეყანაში დადასტურდა.

მექსიკაში დაავადებით, სავარაუდოდ, 100 ადამიანი გარდაიცვალა, თუმცა ჯერჯერობით ღირსი გრიპი ოფიციალურად მხოლოდ 25 მათგანის სიკვდილის მიზეზად დასახელდა.

ვირუსის გავრცელებასთან ერთად, სულ უფრო აქტიუალური ხდება საკითხი, თუ რამდენად უსაფრთხოა ღირსი გრიპისგან დამზადებული პროდუქტების მიღება.

ამერიკაში ვირუსით დაავადებულითა რაოდენობა, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 160-დან 244-მდე გაიზარდა.

დაავადების პირველი შემთხვევები ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზამთრის სეზონის დასრულებისთანავე გამოვლინდა, რაც ექსპერტებს აიძულებს, ივარაუდონ, რომ ვირუსი შესაძლოა, შემოდგომაზე დაბრუნდეს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტმა ჯანსაღი კვების საკითხებში ბენ ემბაკერმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც კანადაში A/H1N1 ვირუსით დაავადებული ღირსი აღმოაჩინეს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

თუმცა, მისივე თქმით, ამ ცხოველების დახრცვა ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლას ხელს ვერ შეუწყობს, ღირსი გრიპი კი საკვებად გამოყენებისთვის ძველებურად უსაფრთხოა.

“მომხარების თვალსაზრისით ღირსი გრიპისგან მოზადებული საკვების მიღებაში არავითარი საფრთხე არ არის,” - განაცხადა მან.

მიუხედავად ამისა, ეგვიპტის ხელისუფლებამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის ფარგლებში არსებული ყველა ღირსი დახრცვის შესახებ.

ეგვიპტეში ჯერჯერობით ღირსი გრიპით დაავადების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ამიტომ ხელისუფლების გადაწყვეტილებამ პროტესტი გამოიწვია ქვეყნის ქრისტიან მოსახლეობაში, რომელიც ღირსი გრიპის საკვებად იყენებს.

მოლდოვას მთავრობა პარლამენტის არჩევნის შედეგს გადაბოვას ითხოვს

მარიკა იაშვილი

მოლდოვას მთავრობა ახალი პარლამენტის არჩევნის გამო გადაბოვას ითხოვს. კანონმდებლობის თანახმად, მინისტრთა კაბინეტი გადაგომის შესახებ განცხადებას მაშინ წერს, როდესაც პარლამენტს, რომელმაც მას ნდობა გამოუცხადა, უფლებამოსილების ვადა ეწურება, - განმარტა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზინაიდა გრეჩანაიამ.

დღეს პარლამენტის პირველი სხდომა შედგება, რომელსაც მთავრობის გადაგომის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებას სთხოვენ. ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმა მინისტრებს მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და სთხოვა, მოვალეობის შესრულება იმ დრომდე განაგრძონ, სანამ მათ ადგილს ახალი მინისტრები არ დაიკავებენ.

ახლად არჩეული პარლამენტის მუშაობის დაწყების შესახებ განკარგულებას ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტს მოახერხა ხელი.

დეპუტატები მუშაობას მოლდოვას სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში დაიწყებენ, რადგან არჩევნების გამო მომხდარი მღელვარების დროს პარლამენტის შენობა მნიშვნელოვნად დაზარალდა.

5 აპრილს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოოდ ოთხშაბათს დაადასტურა. ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმერ ვორონინის “კომუნისტურმა პარტიამ” ხმათა 49.48 პროცენტი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტიას საკანონმდებლო ორგანოში 101-დან 60-მდე მანდატი ექნება. სამ ძირითად ოპოზიციურ ძალას შორის კი ხეობი ასე გადაიანაწილა: “ლიბერალური პარტია” - 13.13 პროცენტი ანუ 15 მანდატი, “ლიბერალ-დემოკრატიუ-

ლი პარტია” - 12.43 პროცენტი, აგრეთვე 15 მანდატი, ხოლო ალიანსი “ჩვენი მოლდოვა” - 9.77 პროცენტი - 11 მანდატი. დანარჩენმა პარტიებმა პარლამენტში შესვლისთვის აუცილებელ ხმათა 6 პროცენტი ვერ დააგროვეს.

არჩევნებში გამარჯვებული პარტია შეძლებს, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს მთავრობა და ხელისუფლების სხვა სტრუქტურები, რომელთა არჩევაც მხოლოდ ხმათა უმრავლესობით ხდება. თუმცა მათ არ ეყოფათ ხმები პრეზიდენტის ასარჩევად. ქვეყნის ლიდერის არჩევა იმავე პრინციპით - ხმათა უმრავლესობით ხდება. თუმცა ამისთვის 61 დეპუტატის თანხმობაა საჭირო.

ოპოზიციურმა პარტიებმა პრეზიდენტის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და აღნიშნეს, რომ ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობას არ მიიღებენ. ბოიკოტის მიზანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას “ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის” თავმჯდომარემ ვლად ფილატმა განაცხადა, “ოპოზიცია ერთიანია იმაში, რომ პრეზიდენტის არჩევნების ბლოკირება და ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა აუცილებელია.” მისი თქმით, ოპოზიცია საარჩევნო სიების გადამონმებას არ შეწყვეტს და მოამზადებს დოსიეს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაუგზავნის.

დაგეგმილი ბოიკოტის შესახებ განცხადება გააკეთა “ლიბერალური პარტიის” თავმჯდომარემ მიხაი გიმპუმა. მისი თქმით, “ოპოზიციას აქვს ოქროს ხმა, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე კომუნისტების 60 მანდატი ერთად.”

“ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას არა მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნებში, არამედ პარლამენტის სხდომებ-



პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი

შიც, რომლებზეც ეს საკითხი განიხილება. ჩვენ ვეცდებით, ახალი ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მივაღწიოთ,” - განაცხადა გიმპუმ.

ოპოზიცია არც დეპუტატის მანდატების გადაცემის ცერემონიაში

აპირებს მონაწილეობას.

“ჩვენ არ ვაპირებთ ამ შოუში მონაწილეობას, რადგან მიგვაჩნია, რომ “კომუნისტებმა” ეს არჩევნები მოიპარეს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ფალსიფი-

კაციის უამრავი მტკიცებულება წარვუდგინეთ, მან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იჩქარა. ჩვენ იძულებულნი ვართ, საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტს დავემორჩილოთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვეთანხმებით მას. შესაბამისად ამ ფარსში მონაწილეობას არ მივიღებთ,” - აღნიშნა გიმპუმ.

მანდატების გადაცემის ცერემონიის წინააღმდეგ გამოდის ალიანსი “ჩვენი მოლდოვა” თავმჯდომარე სერაფიმ ურეკიანიც, რომელიც აცხადებს, რომ “არსებულ სიტუაციაში ხმა პარლამენტის შენობაში ჩატარება არ ღირს, ამიტომ ამ სპექტაკლის გათამაშება - დეპუტატის მანდატების საზეიმო ვითარებაში გადაცემა საჭირო არ არის.”

ოპოზიციამ არჩევნებს უნდობლობა ჯერ კიდევ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე გამოუცხადა. ამის გამო კომინიოვის ქუჩებში მასობრივი საპროტესტო აქცია დაიწყო, რომელიც არეულობაში გადაიზარდა. დემონსტრაციის მონაწილეობა პარლამენტის შენობა და პრეზიდენტის რეზიდენცია დაზიანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არეულობაში 20 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

ოპოზიციის მოთხოვნის საფუძველზე ხმები ხელახლა გადაითვალეს და საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო შედეგები გამოაცხადა, თუმცა სურათი არ შეცვლილა. გამარჯვებულად კვლავ “კომუნისტური პარტია” გამოცხადდა.

ამავდროულად, კომინიოვის სააპელაციო სასამართლომ ჟურნალისტ ნატალი მორარის საქმე განიხილა.

ჟურნალისტს ბრალი ედება მასობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზებაში, რომლებიც არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას მოჰყვა. სასამართლომ მორარს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალა.

რევოლუ




ნიუ იორკში "კრისტის" სააუქციონო სახლმა თანამედროვე ხელოვნების გამოფენა გამართა. თანაც უბრალოდ კი არა, "სეილზე" გამოიტანა მხატვრული "პროდუქცია": თანამედროვე არტისტები შედარებით დაბალ ფასებს ადებენ თავიანთ კონკრეტულ ქმნილებებს და "კრისტის" ნიუ იორკის სახლის მსგავსად ასე ცდილობენ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, ჭეშქარი ფოტოზე ასახული ნაშუაგარი "სანაპირო სახლი" ცხადია ისევ კიჩურია, მხატვარი იცინის საზაფხულო სნობურ და შიშველ ორომტრიალზე, მაგრამ ამბობენ, რომ თბილი და ვნებიანი ზაფხულის მოლოდინში დამთვალიერებელს ეს ცინიზმიც კი ეამება.

AFP - 2009

უარი კომედიას!

ბრიტანელმა კომიკოსმა საშა ბარონ კოენმა, რომელსაც რეპერი ალი ჯის, ყაზახელი ჟურნალისტის ბორატისა და ავსტრალიელი ჰომოსექსუალი რეპორტიორის ბრუნოს როლები აქვს შექმნილი, გადამწყვიტა ამჟღავნებითი შეიცვალოს, კომედიურ როლებზე უარი თქვას და სერიოზულ როლებზე დაიწყოს მუშაობა. გაზეთი The Times-ის ინფორმაციით, კინოსტუდია Columbia Pictures-მა ბრიტანელი კომიკოსი შერლოკ ჰოლმსის როლზე მიიწვია. ნასვლის შესახებ გადაწყვეტილება საშამ, ალაბამას შტატში მდებარე საცეკვაო კლუბში "ვინ არის სამოცდაათს გადაცილებული" გამოსვლის შემდეგ მიიღო, სადაც იგი თავისი გმირის - ჰომოსექსუალი ბრუნოს სახით გამოჩნდა. კომიკოსის ხელოვნებამ პენსიონერები არ დააკმაყოფილა. მათ უკვე ჰქონდათ ნანახი "ბორატი", ამიტომ დაელოდნენ, სანამ მსახიობი თავის პარტნიორს ცეკვის დროს აკოცებდა და შემდეგ პოლიციელების დახმარებით იგი გარეთ გააძევეს. ხნიერმა მოცეკვავეებმა ინტერნეტში კამპანიაც

გახსნეს, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს აფრთხილებენ არ წამოეგონ შეერთებული სამეფოს ვერაგი მცხოვრების პროვოკაციულ გამოხტომებს, რომელიც გულუბრყვილო ამერიკელების ნდობას ბოროტად იყენებს. მიუხედავად ყველაფრისა, კომედიურ როლებზე უარის თქმა, მსახიობს შესაძლოა ძალიან ძვირად დაუჯდეს, წერს გაზეთი The Times. ჰომოსექსუალი რეპორტიორის ბრუნოს პაროდის უფლების მოპოვებისთვის მან 25 მილიონი ფუნტი მიიღო, ხოლო სერიოზულ როლებზე მას წარმატების მიღწევა ნამდვილად გაუჭირდება და შესაძლოა სასურველი შედეგი ვერც მიიღოს. კინოსტუდია Columbia Pictures-ის მიერ დაგეგმილ ახალ ფილმში ვატსონის როლს კიდევ ერთი ცნობილი კომიკოსი მსახიობი - უილ ფერელი ითამაშებს. 2006 წელს ფერელმა და კოენმა უკვე მიიღეს ერთად მონაწილეობა ფილმში - "რიკი ბობი: გზების მეფე". ფილმის სცენარი, რომელიც რა თქმა უნდა ჩიბუ-



ხიანი ჯენტლმენის თავგადასავალის პაროდულ ვარიანტს წარმოადგენს, საშა ბარონ კოენის მოგვარემ - ეიტან კოენმა დაწერა. არტურ კონან დოილის ნაწარმოების მოტივებზე ფილმის გადაღება რეჟისორ გაი რიჩს მოუწევს. ახალი ფილმი ტელეკრანებზე 2010 წელს გამოვა. საშა ბარონ კოენის კარიერა ტელეშოუში ალი ჯისა და ბორატის როლებით დაიწყო. მოგვიანებით ეს პერსონაჟები კინოკრანებზე გადაიტანეს. 2006 წელს გამოსულმა 18 მილიონიანი ბიუჯეტის მქონე კინოფილმმა "ბორატი: ამერიკის კულტურული გამოძიება ყაზახეთის დიდებული სახელმწიფოს სასარგებლოდ" (Borat: Cultural Learning of America for Make Benefit Glorious Nation of Kazakhstan) მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების კინოთეატრებში 90 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა. ამ ფილმში შესრულებული როლისთვის მსახიობმა კომედიაში შესრულებული საუკეთესო მთავარი როლისთვის "ოქროს გლობუსი" მიიღო.



5 მაისი

თეატრი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

პრემიერა "ხანუმა"

რეჟისორი ლევან წულაძე დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში

"პეიზაჟს აკლია სიტბო"

რეჟისორი ციცილო კობიაშვილი დასაწყისი: 20.00

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი

პროექტი "ჰეპენინგები"

შეხვედრა მწერალ ირმა კეკელიძესთან დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი

"ჯინსების თაობა"

რეჟისორი დავით დოიაშვილი დასაწყისი: 19.00

თეატრი "ვერიკო"

მურმან ჯინორიას სპექტაკლი "და სიმღერით ვკვდები" დასაწყისი: 18.00

კინო

"რუსთაველი"

"დესპეროს თავგადასავალი" დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30; "მადგასკარი 2" დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30; "მილიონერი გარეუბნიდან" დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15 "სხეულის გარეშე" დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15 "ცვლილება" დასაწყისი: 21.30

"ამირანი"

"თქვი დიას" დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15 "ნიკი და ნორა" დასაწყისი: 20.00 "ზღაპრები ძილის წინ" დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00; "სხვა სამყარო - 3" დასაწყისი: 22.00

გამოფენები

თიბისი გალერეა

გოგი ლაზარაშვილის პერსონალური გამოფენა

"აკადემია +"

დავით ჩიხლაძის პერფორმანსის თეატრი

"ვერნისაჟი"

ზაალ ბაჩანაშვილის პერსონალური გამოფენა

გურჯაანში ასზე მეტი ისტორიული ნაგებობა დანგრევის პირასაა

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გურჯაანის რაიონში მდებარე 400 ისტორიული ძეგლიდან ასზე მეტი უძველესი ნაგებობა დანგრევის პირასაა და სასწრაფო სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა განუცხადა.

კულტურული მემკვიდრეობის დამცველის ცნობით, მძიმე მდგომარეობაშია სოფელ ვაზისუბანში მდებარე IX-X საუკუნეებში აგებული, "სანაგირედ" ცნობილი სამონასტრო კომპლექსი. ასევე, სოფელ შამიანში VI საუკუნის სამკარინი ბაზილიკა, სოფელ კალაურში VI საუკუნის კორდომიანის ეკლესია, სოფელ ჭერეში მე-5 საუკუნის საეპისკოპოსო ტაძარი და სხვა ისტორიული ძეგლები.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის სპეციალისტები მხოლოდ ძეგლების დათვალიერებასა და დასურათებას ახდენენ. სამუშაოების დასრულების შემდეგ მასალები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გაეცხადება. **ჯი-ეიჩ-ენი**

აკვირდით

მინდა ვიყო პირველი არხის კორესპონდენტი!

რას ვპასუხობთ მათ, ვისი უფლებებიც დღეს ირღვევა?



სოფო კილასონია

არც გასული კვირა და არც იმის წინა იოლი არ ყოფილა ყურადღების რაიმე აპოლიტიკურზე გადატანის თვალსაზრისით. პოლიტიკური მხარეების დაპირისპირებამ ისე გაიძვრა ფესვები ჩვენს ყოფაში, არა თუ საქმე გახდა მეორეხარისხოვანი, ბევრს საკუთარი უკიდურესი ეკონომიკური პრობლემებიც კი დაავიწყა, ანდა დაავიწყეს და ყალბი პათეტიკითა და დაძაბული სისხლძარღვებით იმ იდეალებზე აყვირეს, რომელთაც არც აღნიშნული ფორმა და არც ის აგრესია უხდება, რომელსაც ამ დღეების განმავლობაში საქართველოში ქართველების ერთი ნაწილი აგროვებს. თანაც აგროვებს მეორე, მესამე, მეოთხე ნაწილის, ანუ დანარჩენი ქართველობისთვის, როგორც ამბობენ, მათთვის, "ვისაც არ სჯერა და ვინც სახლში ზის".

განვლილი ათი დღის განმავლობაში - ანუ სანამ იერიშს მომიტინგე პოლიტიკური ელიტა ხელისუფლებიდან რიგით ადამიანებზე გადაიტანდა; იმ ადამიანებზე, რომლებსაც წესითა და რიგით, როგორც უნდა არ ვეთანხმებოდეთ, აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, ამ კონკრეტული შემთხვევისთვის კი უფლება დარჩენენ სახლში ანდა იარონ სამსახურში, ანუ როგორც ამბობენ "თავისი საქმე აკეთონ" - თბილისში უხმაუროდ რამდენიმე ისეთი ღონისძიება განხორციელდა, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და დღევანდელი ჩემი კვირის კულტურის ქრონიკაში (რომლის დანერგვაც სამი დღეა ვცდილობ და გულს ვერ ვუდებ) ადგილს აუცილებლად იმსახურებს. თუნდაც მათი ავტორების პოზიციისა გამო, რომელთაც აუცილებლად დავეთანხმებო: ნებისმიერი პრობლემა, რომელიც ორ რადიკალურ პოლიტიკურ პოლუსზე ჩანს, თითოეულ ჩვენთაგანშია; ნებისმიერი ტიპის პრობლემების მიზეზი საქართველოში, არა ერთი კონკრეტული პიროვნების ზნე და ჩვეულებაა, არამედ ზოგადი, საზოგადოებრივი ზნე და უზნეობა... მათ თავიანთი გამოფენებითა და სხვადასხვა მხატვრული ღონისძიებით, წიგნების პრეზენტაციით, თუ უბრალოდ გაკვეთილის ჩატარებით, რა ძალიან ეფემერულიადაც არ უნდა უღერდეს ეს ყველაფერი, ალბათ თავიანთი პოზიცია გამოხატეს.

ისინი არიან ჩემი მოხლებ-

ბის თაობა, დაკარგულებს რომ უნოდებენ თავს და კიდევ ჩემი თაობა, 90-იანელად რომ სურს დარჩეს, ისინი არიან ჩემი სტუდენტები და კიდევ უფრო პატარები, რომლებმაც ბოლო 20 დღის განმავლობაში მაინც აკეთეს საქმე და ყველამ ვიცით, რომ საზოგადოების და შესაბამისად ქვეყნის განვითარების მცდელობა სწორედ ამ ხალხშია და არა სხვაში.

ეფემერულია არა? ალბათ, მით უფრო "როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა..." და ა.შ. მაგრამ მათ შეიძლება იმაზე მეტად ანუხებდეთ განათლების, ხელოვნების სფეროში არსებული ხარვეზები, უკიდურესად გამწვავებული სოციალური პრობლემები, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ თემაზე ძალიან ბევრი უსახურიათ და დღეს უბრალოდ განსხვავებული ინტერესების გამო სხვადასხვა მხარეს დგანან.

ამ საზოგადოების სურვილებზე, მოთხოვნებზე, პრობლემებზე არც დღეს საუბრობს და მსჯელობს ვინმე და საუარაუდოდ, არც უახლოეს მომავალში დადგება ასეთი საკითხები დღის წესრიგში, რადგანაც ადამიანები, რომლებსაც სურთ დავა პრინციპებზე და საქმეზე, ქუჩაში არ ყვირიან, არც თანამემამულეებსა და თანამოქალაქეებს აფურთხებენ, არც აგინებენ განსხვავებული პოზიციის გამო. შესაბამისად მათი არსებობა მუდმივად არააქტუალურია. ამ საზოგადოებას არ წარმოადგენს არც ერთი პოლიტიკოსი, რა დიდი რაოდენობითაც არ უნდა ხარჯავდნენ ისინი პოლიტიკურ-რეიტინგულ ქულებს ქუჩაში.

საზოგადოება, ამ ცნების საუკეთესო მნიშვნელობით, დაფიქრებულია. ზუსტად ისე, როგორც თავად ნებისმიერი ქვეყნის გადარჩენისა და განვითარებისთვის აუცილებელი პრინციპები ამ ქვეყანაში, ანდა ამ პრინციპების მოპოვებისთვის არსებული გზები. უკვე პირდაპირ ამბობენ, რომ ისინი, ვინც არჩევანს რაიმე სხვაზე აკეთებენ და არა მათი პოლიტიკური ძალის მიერ დადგენილ "აუცილებლობებზე", არ უნდა არსებობდნენ... არ უნდა ისმოდეს მათი ხმა, არ უნდა ჩანდნენ ქალაქში და თუ გამოჩნდებიან, მათ ყურებთან დაიბლავლებენ, ფურთხსა და გინებას აგემებენ, მათ ჩაქოლავენ, შესაძლოა დადგეს დღე და ამის გამო ბოლომდე ეფემერულიადაც არ უნდა უღერდეს ეს ყველაფერი, ალბათ თავიანთი პოზიცია გამოხატეს.

ერთოდ არაფერს ნიშნავს.

და ამიტომაც ყურადღებით იყავით, თვალყურად ადევნეთ და აკონტროლეთ თქვენი აზრები, თუ ერთ დღესაც მოულოდნელად აღმოაჩინეთ, რომ თქვენი მოქალაქეობრივი არჩევანი არ გავს ამ, ანდა სხვა ახალ პოლიტიკოსთა არჩევანს; თუ აღმოაჩინეთ, რომ თქვენი პოზიცია სინამდვილეში დიდი ქართველი პოლიტიკოსების თქმით "პოზიციის არქონაა", მაშინ ან ჩაახშეთ თქვენი განსხვავებული აზრი, ანდა გემინოდეთ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში თქვენ აღარც სამშობლო გექნებათ და აღარც უფლება - გერქვათ ქართველი. თქვენ ვერ მიიღებთ "ლამაზი საქართველოს მშენებლობაში" მონაწილეობას და ახალი ტიპის, ქართული დემოკრატიის ბილიკებს ვერ აედევნებთ, ვერც ახალ მატარებელს მიუსწრებთ. ეს საუკეთესო შემთხვევაში. გუშინ მივხვდი, რომ იქნება უარესი შემთხვევებიც:

მოსაგონარი იქნება "ოქრუ-აშვილის დაჭერების" პირდაპირ ეთერში ნანახი სერია, რომლის შესახებაც ვამბობდით, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი ადამიანების უფლებები ირღვეოდა, მაყურებელი კი შიშისგან გმინავდა. მხოლოდ იმის გამო, რომ სახელმწიფო დანესტრუქციის სამსახურში იყავით, ანდა თუნდაც შეცდომით ფიქრობდით, რომ თქვენ სახელმწიფოსა და პროფესიას პირნათლად ემსახურებოდით, თქვენც დაგსჯიან პირდაპირ ეთერში და რომელიმე ყურნალისტი, ძლივსშეკავებული აგრესიითა და ცეცხლოვანი ენით ამ საქციელს გაამართლებს. ამის რეპუტაცია გუშინ საღამოს გაიარეს.

ვიცი და მახსოვს, რომ დღეს ერთი რიგითი ქრონიკა უნდა დამენერა, ანუ სახელგანთქცი მოვლენების მიმოხილვა, გამოფენების ანალიზი და ა.შ. მაგრამ მკითხველის მოტყუებას თავი რომ დავანებო, საკუთარი თავის მოტყუება იქნებოდა, დამენერა მორიგი ოპუსი ხელოვნების რომელიმე მიმართულებაზე, როცა ამხელა ანტიკულტურული შოკი მივიღე, ვხედავდი რა ჩემთვის აქამდე უცნობი ადამიანების მდგომარეობას პირველი არხის წინ და ვხედავდი რა, თუ რამდენად არაადამიანურად იქცეოდნენ იქ მისული ადამიანები. საინტერესო კი სულ სხვა საკითხია - რატომ არ იცავდნენ გუშინ და ამ ბოლო დღეების განმავლობაში გზას აცდენილი ყურნალისტების, თუნდაც ძალიან არაპროფესიონალი ყურნალისტების უფლებებს სახალხო დამცველის წარმომადგენლები? მაინტერესებს, რატომ ველოდი ამოდ ტელეეკრანზე ჩემი ქვეყნის სახალხო დამცველის გამოჩენას, რომელიც აშლიდა სირცხვილის კორიდორს და წინ აღუდგებოდა ძალადობას. რატომ იყო ეს მოლოდინი ამო?

იმედი მაქვს, მკითხველი მიმიხვდა, რომ მე მხოლოდ გუშინ გალანძღული ყურნალისტების გამო არ შემტკივა გული... მაგრამ დაე, ასეც იყოს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი არხის ერთგული მაყურებელი არ ვარ, მიუხედავად იმისა, რომ პირა-

დად ჩემთვის საინტერესო ამ განახლებულ არხზე იშვიათად მიპოვინა რამე, მიუხედავად იმისა, რომ მაკლდა და მაკლია ამ არხზე ანალიტიკა, ხელოვნება, მეცნიერება, შემეცნების შანსი და შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიას მეც, როგორც ბევრი სხვა, სხვაგვარად ვხედავ, მიუხედავად ამისა, გუშინ და დღეს ერთი ჯიუტი და პლაკატური წინადადება დამსდევს - "დღეს მინდა ვიყო პირველი არხის კორესპონდენტი!" და მინდა ვიყო ნებისმიერი ის ადამიანი, რომელიც ამ გაუგონარ აგრესიულ მოძრაობებს გაემიჯნება.

ჩემი ეს სურვილი შეიძლება რიგითი მოქალაქისთვის, რიგითი მკითხველისთვის სტატიის ავტორის სიჯიუტედ და პროტესტის ინფანტილურ ფორმად აღიქმებოდეს და სწორედ ამიტომ შევეცდები ჩემში არსებული ეს ახალი პროტესტი ზოგად და ძალიან მნიშვნელოვან ფაქტად დაგანახოთ.

ამიტომაც გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ თუ რამე სერიოზულს და "ხელშესახებს" მიაღწიეს 9 აპრილის შემდეგ ქუჩის აქციების ავტორმა პოლიტიკოსებმა, ეს სწორედ ის პროტესტია, რომელიც ამ სტატიის ავტორს და კიდევ ძალიან ბევრ ადამიანს გაუჩნდა. პროტესტი უარესის მიმართ, პროტესტი აგრესიული ცვლილებების მიმართ, პროტესტი ნებისმიერი არგუმენტით გამართლებული აგრესიის მიმართ. ეს ყველაფერი არის ის ერთადერთი, რასაც მათ მიაღწიეს. სულ სხვა საქმეა, რას მივალნიეთ და რა მივიღეთ ჩვენ, რიგითმა ადამიანებმა, ანუ საზოგადოებამ, რომელსაც გვსურდა მათი, ან რომელიმე სხვა, თუნდაც ჯერ არ არსებული პოლიტიკური გუნდისადმი ნდობა მაინც გვექონოდა. რომელსაც უბრალოდ სურდა ზოგადად ნდობის უნარი ჰქონოდა. დღეს საზოგადოების დიდმა უმრავლესობამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალი რეალობა აღმოვაჩინეთ - თუ არ მოგვწონდა არსებული მმართველობა, სასამართლო, მოკლედ მთავრობა და ვამბობდით, რომ გარკვეული ცვლილებები იყო აუცილებელი, თუ ყოველი მეორე ჩვენთაგანი გარეთაც დადგა ამ დარღვევებით შენუხებული, დღეს უკვე კარგად "ვიცი", რა არის უარესი. თუ "ვხედავდით" აგრესიას, დღეს უკვე "ვგრძნობთ", რა არის ბევრად დიდი აგრესია. ბრჭყალებში მოყვანილი სიტყვები შეცდომა არაა. ჩვენ ისეთი დაღლილები ვართ, ვეჭვობ, ცხადად ვხედავდით და ვგრძნობდით რამეს... და ეს ყველაფერი ვისი ნისქვილისთვისაა, ამაზე აგრესორმა პოლიტიკოსებმა იმტვირინ თავი, ჩვენ ის უნდა გვეთქვა, თუ საზოგადოებამ რა მოიგო. მაგრამ სათქმელი არაფერია. საზოგადოება ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ჩიხში შეიყვანა. იმ ჩიხში, სადაც არჩევანი არა თუ ცუდაა და უარესს შორისაა, არამედ საერთოდ არ არსებობს. და როცა საზოგადოება აგებს, მაშინ, თუ სწორად მახსოვს, ქვეყანაც წაგებულია.

"ჩვენი თაობის პრივილეგია" ინტელსურად

გამოცვა ზურაბ ჟვანიას ლექციების კრებული


“ჩვენი თაობის პრივილეგია” - ასე ეწოდება ზურაბ ჟვანიას წიგნს, რომლის პრეზენტაციაც მუსიკისა და დრამის თეატრში გაიმართა. ინგლისურენოვანი წიგნი ევროპარლამენტის მხარდაჭერით გამოიცა. ამ კრებულის პრეზენტაცია 6 მაისს სტრასბურგში, ევროპარლამენტშიც მოეწეობა.

თეატრში, პრეზენტაციაზე თავი მოიყარეს ზურაბ ჟვანიას მეგობრებმა, მათ შორის: ხათუნა გოგორიშვილმა, ნინო ბურჯანაძემ, გიორგი ბარამიძემ, გოგა ხაინდრაჯამ, ასევე, სტუდენტებმა, დიპლომატიურმა კორპუსმა და ოჯახის წევრებმა.

რამდენიმე წლის წინათ “ჩვენი თაობის პრივილეგია” ქართულ ენაზე დაიბეჭდა. ამ კრებულის ინგლისურ ენაზე გამოცემის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ზურაბ ჟვანიას შეხედულებები უკეთ გაიცნონ.

აღნიშნული პრეზენტაციის ორგანიზატორები იყვნენ: ქ-ნი ნინო ქადაგიძე-ჟვანია და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ლონისძიებათა მართვის სტუდენტები.

“ზურაბ ჟვანიას სახელთან დაკავშირებით რაიმეს ორგანიზების იდეა ივენთ-მენეჯმენტის ლექციაზე დაიბადა. ამასთან დაკავშირებით შეხვდით გიორგი მარგველაშვილს, GIPA-ს რექტორს, რომლისგანაც შევიტყვეთ, რომ გამოსაცემად მზადდებოდა ზურაბ ჟვანიას ლექციების წიგნი, რომლის პრეზენტაცია ბრიუსელში შედგებოდა. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ მისი პრეზენტაცია საქართველოშიც გაგვეკეთებინა. ამ იდეაზე უშუალოდ რამდენიმე სტუდენტმა დაავინყეთ, შეხვდით ნინო ჟვანიას, რომელმაც ინიციატივა მოიწონა. ქალბატონი ნინო ძალიან დაგვეხმარა, ის საქმეში აქტიურად ჩაერთო. პროექტმა დასრულებული სახე მკა კუბუსიძის დახმარებით მიიღო. მის განხორციელებაზე მთელი ჯგუფი მუშაობდა”, - გვითხრა GIPA-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ლონისძიებათა მართვის კურსის სტუდენტმა, ნინო ჯვარშიშვილმა.



ZURAB ZHVANIA
THE PRIVILEGE OF OUR GENERATION

ამ წიგნის გამოცემა ევროპარლამენტმა დააფინანსა. მასში ზურაბ ჟვანიას მიერ GIPA-ს ინსტიტუტში ჩატარებული სალექციო მასალაა თავმოყრილი. “2002-2003 წლებში, ბ-ნი ზურაბ ჟვანია აქ დიპლომატიის განვითარების ისტორიას კითხულობდა. ამ თვალსაზრისით ჩვენს სტუდენტებს მართლაც უნიკალური შესაძლებლობა ჰქონდათ. პირადად ჩემთვის, ამ ადამიანის ლექციებზე დასწრება და მისი მოსმენა განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან ასეთი მასშტაბის საჯარო მოხელეები და პროფესიონალები იშვიათად იბადებიან. ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ზურაბ ჟვანიას სახელთან, ჩემთვის განსაკუთრებული და ძალიან ძვირფასია”, - აღნიშნა GIPA-ს სახელმწიფო მართველობის სკოლის დეკან-

მა, მკა იოსელიანმა. **ნინო ქადაგიძე-ჟვანია:** - “როდესაც ზურა პარლამენტის თავჯდომარეობიდან გადადგა, მას არჩევნებამდე ერთი წელიწადი ჰქონდა დრო. ის ერთი წელიწადი მან, რაღაცნაირად, გამოიყენა იმისათვის, რომ შეეჯამებინა მისი, როგორც პოლიტიკოსის, ნააზრევი, თეორიული ცოდნა და უზარმაზარი გამოცდილება. ამ ყველაფრის აკუმულირება მან ლექციებში შეძლო. მას წიგნის გამოცემა თავადაც უნდოდა. დარწმუნებული ვარ, ამ საქმისთვის ხელი თვითონ რომ მოეკიდა, ეს ხელი უფრო დახვეწილი გამოვიდოდა. სამწუხაროდ, ის მის გარეშე, ჩვენი დახმარებით გამოიცა. მასში ჩამოყალიბებულია ზურაბ ჟვანია და დამოკიდებულება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: ქარ-

თული დემოკრატია, სახელმწიფოს განვითარება, საგარეო პოლიტიკა, კავკასია და კავკასიის როლი”.

გიორგი ჟვანია (ზურაბ ჟვანის ძმა): - “წიგნში - “ჩვენი თაობის პრივილეგია” წარმოჩენილია ზურაბ ჟვანია თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ქვეყანა. იქ ზურა საუბრობს გამოცდილებაზე, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში უშუალოდ დემოკრატიათან მიმართებაში არსებობს. საგულისხმოა წიგნის სათაური - “ჩვენი თაობის პრივილეგია”, რაც მანიშნებელია იმისა, რომ დღევანდელ თაობას შეუძლია ჩვენი ქვეყანა იქითკენ წაიყვანოს, რისთვისაც ჩვენი წინაპარი იბრძოდა და სიცოცხლეს სწირავდა”.

სალამოზე აჩვენებს გიორგი ხაინდრაჯამს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი ზურაბ ჟვანის შესახებ. “აქ ყველაფერია ზურაზე თქმული, ზურას მიერ დანახული და განცდილი ჩვენ ამაში ნაკლებად, მხოლოდ ტექნიკურად, წმინდა რეჟისორული თვალსაზრისით ჩავერთეთ. სხვა დანარჩენი ზურას ეკუთვნის. აი, ეს არის ამ ფილმში განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი და საინტერესო”, - აღნიშნა გიორგი ხაინდრაჯამი.

გიორგი ბარამიძე: - “პირადად ჩემთვის, ზურაბ ჟვანია არა მხოლოდ მეგობარი და პოლიტიკური ლიდერი იყო, არამედ მასწავლებელიც. ვფიქრობ, რომ მისი ნააზრევის გაცნობა სასარგებლო იქნება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკითხველისათვის”.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა ზურაბ ჟვანიას სახელის პატივსაცემად მისი სახელობის სტიპენდია დააწესა. ის სახელმწიფო მმართველობის სკოლის სამაგისტრო პროგრამის საუკეთესო სტუდენტებს გადაეცემა. გარდა ამისა, ამავე ინსტიტუტში, ყოველწლიურად, ზურაბ ჟვანიას დაბადების დღეს ჩატარდება კონფერენცია, სახელწოდებით - “დემოკრატიული პოლიტიკის პრინციპები”. საუკეთესო ნაშრომი განთავსდება ინსტიტუტის ვებგვერდზე, ავტორს კი გადაეცემა ფულადი პრემია.

24 საათი

თბილისის ბოტანიკურ ბაღში ყვავილების გამოფენა იხსნება

დღეს, 5 მაისს, თბილისის ბოტანიკურ ბაღში ყვავილების გამოფენა იხსნება. 80-მდე ჯიშის იასამანი, ათასამდე ქოთნის, იშვიათი და გადაშენების პირას ყმყოფი 400-მდე მცენარე იქნება წარმოდგენილი.

გამოფენა თბილისის ბოტანიკურ ბაღში 10 მაისამდე გაგრძელდება.

დამთვალეობებისათვის და თბილისის სტუმრებისათვის მოწყობა სპეციალური ექსკურსიები და საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ყვავილების ნაკვეთები. თბილისის ბოტანიკური ბაღი 1845 წელს გაიხსნა და 128 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

თსუ-ში 2009 წლის სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართება

5 მაისს, 15:00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში (ფიზიკის დიდ აუდიტორიაში) გაიმართება 2009 წლის უცხოეთში სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია.

პრეზენტაციის ორგანიზატორია განვითარებისა და რეფორმების ფონდი (დირექტორი გიორგი პატარაძე). ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და სხვა ოფიციალური პირები.

2009 წლის სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 3,5 მილიონ ლარს. **ჯი-ეიჩ-ენი**

გამოცდების ეროვნული ცენტრმა უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.naec.ge ქვეყნდება ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტებზე არსებული კონკურსის შესახებ.

2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია გაიხსნა 29236-მა აბიტურიენტმა.

რეგისტრაციის შედეგები ცხადდებიან, რომ აბიტურიენტებმა უპირატესობა წელსაც ბიზნესის, სოციალურ-პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ და სამართლის მიმართულებებზე მიაჩნიეს.

2009 წელს 27624 აბიტურიენტი საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული პროგრამების სტუდენტი გახდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

თამარ გვერდნითელი რუსული არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში სოლო კონცერტს გამართავს

6 მაისს რუსეთისა და საქართველოს სახალხო არტისტი თამარ გვერდნითელი რუსული არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში საქვემოქმედო სოლოკონცერტს გამართავს. ინფორმაციას ამის შესახებ თეატრის პრესსამსახური ავრცელებს. კონცერტის სახელწოდება იქნება “სიხარული და გამარჯვების ცრემლები”.

კონცერტს რუსეთისა და დსთ-ის სხვა და სხვა ქალაქებიდან დიდი სამამულო ომის ვეტერანები და მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეები დაესწრებიან, რომლებიც შემდეგ ნითელ მოედანზე 9 მაისის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ალფუმში მიიღებენ მონაწილეობას.

“თამარ გვერდნითელმა კონცერტის ჩატარების ინიციატივით თეატრის ხელმძღვანელობას თავად მიმართა”, - განაცხადა რუსული არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის ხელმძღვანელმა, გენერალ-მაიორმა ვიქტორ იაკიმოვმა და დასძინა, რომ გვერდნითელი რუსული არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში შემთხვევითი ადამიანი როდია - “იგი თეატრის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სპექტაკლში “ადამიანი ლამაზიდან” არის დასაქმებული და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან ვლადიმერ ჯი-ეიჩ-ენი

თბილისის საკრებულოში გაიხსნება გამოფენა “მაისის თბილისი”

6 მაისს, 16:00 საათზე, თბილისის საკრებულოში გაიხსნება გამოფენა “მაისის თბილისი”.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ელენე ახვლედიანის, შალვა მატყუაშვილის, დიმიტრი ერისთავის, თემო მატყაურიანის, ომარ დურმიშიძის, გივი თოიძის, ოლეგ ტიმჩენკოს, ლევ ბოიხჩევის, პეტრე ბლიოტკინის, ჯემალ კუხალაშვილის, გოგი ჩაგვლიძის, თაზო ხუციშვილის, თორნიკე აბულაძის, ესმა ონიანის, ალბერტ დილბარიანის ზურა სეხნიაშვილის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

გამოფენა 3 დღეს გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი კინოფესტივალ “ამირანის” ლოგოს კონკურსს აცხადებს

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის, “ამირანის” ლოგოს კონკურსს აცხადებს. კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ნამუშევრების მიწოდება ელექტრონული ფოსტით: pr@tafu.edu.ge 15 მაისამდე შესაძლებელია. ფესტივალი კი 11-14 ივნისს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ვან ბობს ყური მოაჭრეს

ამ დასკვნამდე გერმანელი მკვლევარები მივიდნენ

მოაჩრეს! ვინსენტ ვან გოგს ყური ნერვული აშლილობისას არ მოუჭრია: ყური მას გაბრაზებულმა პოლ გოგენმა მოაჭრა. ასეთ დასკვნამდე მივიდა ჰამბურგის უნივერსიტეტის ორი მკვლევარი - ჰანს კაუფმანი და რიტა ვილდეჰანსი. მათი არგუმენტაცია გამოქვეყნდა გაზეთ Le Figaro-ს 4 მაისის ნომერში.

კაუფმანი და ვილდეჰანსი აღნიშნავენ, რომ 1888 წლის 23 დეკემბერს მომხდართან დაკავშირებული ცნობა გოგენმა და პოლიციამ გაავრცელეს. ამ უკანასკნელმა გასისხლიანებული ვან გოგი 24 დეკემბერს აღ-

მოაჩინა და საავადმყოფოში წაიყვანა. მათი მონაცემების თანახმად, ვან გოგმა გაზეთში გახვეული მოჭრილი ყური ნაცნონ როსკიპს, სახელად რაშელს აჩვენა. ამის შედეგად, ჰოლანდიელი მხატვრის ცხოვრებაში მომხდარი ეს ეპიზოდი მისი სულიერი აშლილობის მაჩვენებლად იქცა, რამაც ის, ბოლოს და ბოლოს, თვითმკვლელობამდე მიიყვანა. პოლ გოგენის ვერსია კი იუწყებოდა, რომ ორი მეგობარი მხატვარი ნაკამათადა, გოგენი სახლიდან წავიდა და ღამის გათენება უახლოეს სასტუმროში გადაწყვიტა. მარტოდ დარჩენი-

ლი ვან გოგი გაბრაზდა და საპარსით ყური მოიჭრა.

გერმანელი მკვლევარების მოსაზრებით, სინამდვილეში გოგენი ცდილობდა კამათისას გაცეცხლებული ვან გოგის გაჩუმებას, დაშოშმინებას და შესანიშნავმა მოფარკავებ მას დიდი ზიანი არ მიაყენა, მხოლოდ ყური მოაჭრა. იარაღი მან მდინარე რომაში გადაადგო. რაპირა, ცხადია, ვერ იპოვეს. “ვერც საპარსი”, - დასძინს კაუფმანი. მოგვიანებით გოგენმა ჩვენება მისცა პოლიციას, სადაც საკუთარი ვერსია დაადასტურა, ხოლო ვან გოგი დუმდა - მომხდართან და-

კავშირებით მას სიტყვა ვერ დააცდევინეს. კაუფმანი ვარაუდობს, რომ ჰოლანდიელი მხატვარი, რომელსაც მეგობარი ძალიან უყვარდა, მის სანინალოდ გოგენი ჩვენებას არც ერთ შემთხვევაში არ მისცემდა. ეს რომ გაეკეთებინა, გოგენს ციხეში ჩასვამდნენ.

ვანს კაუფმანი მიიჩნევს, რომ გოგენი, რომელსაც ამ ფაქტის შემდეგ ვან გოგი აღარასოდეს უნახავს, მომხდარს იხსნიდა. მან 1901 წელს, “მზესუმზირების” მისეული ვერსია, ფაქტობრივად, გარდაცვლილი მეგობრის მოსაგონრად შექმნა.

სიახლეები განათლებაში და მეცნიერებაში მარტივად, აპრილი, 2009



მთავარი სიახლეები

- ნიკა გვარამიამ და საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა გორის რ-ნის სოფელ ერგნეთის რეაბილიტირებული სკოლა გახსნეს;
- საერთო სამაგისტრო გამოცდები წელს პირველად ჩატარდება;
- ნიკა გვარამიამ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა;
- მინისტრმა საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისადმი მიძღვნილ საგანმანათლებლო კვირეულში გამარჯვებულ 20 სკოლას ლეტოები და პროექტორები გადასცა.

ზოგადი განათლების სიახლეები

საერთო სამაგისტრო გამოცდები წელს პირველად ჩატარდება

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მაგისტრანტებს ამიერიდან სახელმწიფო დააფინანსებს. მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და ატარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სწავლის გაგრძელება სურს მაგისტრანტობის კანდიდატს. საერთო სამაგისტრო გამოცდას გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩატარებს. გამოცდების შედეგების მიხედვით მაგისტრანტისთვის გაიცემა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. 1000-დან 2250 ლარამდე საგრანტო დაფინანსებას 1000-მდე მაგისტრანტი მიიღებს.

გორის რ-ნის სოფელ ერგნეთში რეაბილიტირებული სკოლა გახსნა

ნიკა გვარამიამ და საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ერგნეთში რეაბილიტირებული სკოლა გახსნეს. 2007 წელს ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლას მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში ნაწილობრივ რეაბილიტაცია ჩატარდა და სასკოლო ინვენტარითა და კომპიუტერებითაც აღიჭურვა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად სასწავლო დაწესებულება გაიძარცვა, დაზიანდა კედლები, ჩამოინგრა სახურავი, მწკობრიდან გამოვიდა გათბობის სისტემა, სრულად განადგურდა სასკოლო ინვენტარი. ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის აღდგენითი სამუშაოები "საქართველოს ბანკის" კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდმა განახორციელა. ერგნეთის საჯარო სკოლის 77 მოსწავლე ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში გააგრძელებს სწავლას. მინისტრმა მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის) ლაბორატორია გადასცა.

ინკლუზიური განათლება თბილისის შემდეგ, საქართველოს ათი რეგიონის საჯარო სკოლებში დაინერგება

პროექტს "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებში" განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და ნორვეგიის სამეფოს ელჩმა საქართველოში ჯონ ემბერგმა ხელი საზეიმოდ მოაწერეს. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: სკოლებში შესაბამისი ფიზიკური გარემოსა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შექმნა; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა რეგისტრაცია, შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა; სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციისა და სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი) პროფესიული განვითარება და სხვ. სამწლიანი (2009-2011) პროექტი, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და ორგანიზაციის "გადავარ-ნიხთ ბავშვები" მხარდაჭერით განხორციელდება. ინკლუზიური განათლება უკვე დაინერგა თბილისის 15 საჯარო საშუალო სკოლაში. დღეისათვის ამ საბილეთ სკოლებში სწავლობს 250-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. უკვე გადამხადდა 300-მდე მასწავლებელი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ისანი-სამგორისა და გლდან-ნაბახალაძეების რაიონების 600-მდე პედაგოგს შეხვდა

რაიონების პედაგოგებთან შეხვედრაზე ნიკა გვარამიამ განათლების რეფორმის სიახლეებზე განათლების ხარისხისა და სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე ისაუბრა და პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა. ასევე, მინისტრმა პრეზიდენტის სტიპენდიანტ 32 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა. ამ ტიპის შეხვედრების შედეგად მინისტრი და სამინისტროს წარმომადგენლები რეფორმის მიმდინარეობას პედაგოგებთან ერთად აფასებენ და რეფორმის დახვედრის ახალ გზებს მათთან კონსულტაციების შედეგად განიხილავენ.

ნიკა გვარამიამ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა

მინისტრმა 2008 წელს საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ 8 მოსწავლეს ფულად პრემიები (2000 ლარი) გადასცა. ეროვნულმა ნაკრებმა შარშან ვიეტნამში, ეკვიპტესა და ესპანეთში 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტურში გამარჯვებული მოსწავლეებიც. მოსწავლეებმა მინისტრსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს მია მიმინოშვილს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს და შეკითხვები დაუსვეს. სულ პირველ ტურში 1 366 მოსწავლემ გაიმარჯვა. სასწავლო ოლიმპიადის დასკვნითი ტური 2-3 მაისს ჩატარდება. ოლიმპიადებს გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

მინისტრმა ნიკა გვარამიამ განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის გამართული კონკურსის გამარჯვებულებს ლეტოები გადასცა

კონკურსი "ვერ თავისუფალ თემას" №24 საჯარო სკოლის ინიციატივით უკვე მე-ოთხედ მოეწყო. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნი-

ჭით დაჯილდოებულმა X-XII კლასების 300-მდე მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების და დედაქალაქის სკოლებიდან. თავისუფალი თემის დახმარებით მონაწილეებს შესთავაზეს 10 სათაური სხვადასხვა ჰუმანიტარული სფეროდან: მათ შორის: ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ხელოვნებიდან, ფილოსოფიიდან და ა.შ. მწერლების, ლიტერატორების, პედაგოგებისა და ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებულმა კომპეტენტურმა ჟიურმა 17 გამარჯვებული გამოავლინა. მინისტრმა გამარჯვებულ მოსწავლეებს პორტატული კომპიუტერები გადასცა.

ნიკა გვარამიამ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისადმი მიძღვნილ საგანმანათლებლო კვირეულში გამარჯვებულ 20 სკოლას ლეტოები და პროექტორები გადასცა

საგანმანათლებლო კვირეულში (18-25 თებერვალი) ყველა საჯარო თუ კერძო სკოლა მონაწილეობდა. ამოთვან საუკეთესო და ყველაზე აქტიური სკოლები სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა, რომელშიც შედიოდნენ ლიტერატორები, ისტორიკოსები, მწერლები. საუკეთესო სკოლებს შორის არიან: თოთიწყაროს რაიონის ასურეთის, აფხაზეთის №12, ტყიბულის №6, გორის რაიონის ნაჭარმაგვეის, ხაშურის №8, ხობის №1, ბოლნისის №5, ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის №1, ზუგდიდის რაიონის ინგირის №1, თერჯოლის №1 საჯარო სკოლები და სხვ. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ლიტერატურული აღმზანის „1921“ პრეზენტაცია, რომელშიც შესულია ლიტერატურულ აქციაში მონაწილე მოსწავლეების მიერ ოკუპაციის თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, ქართული ენის დღის აღსანიშნავად, პირველკლასელებთან ერთად "დედა ენის" პირველი გამოცემები დაათვალიერეს

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, ხელნაწერთა ინსტიტუტმა "დედა ენის" პირველი გამოცემები და იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერები გამოიყვანა. „დედა ენა“ პირველად 1876 წელს დაიბეჭდა, ავტორის სიცოცხლეში (1912-მდე) კი 33-ჯერ გამოიცა. სტუმრებმა დაათვალიერეს შემდეგი ექსპონატების ორიგინალები: „დედა ენის“ პირველი გამოცემები (ქართულ და აფხაზურ ენებზე). XIX- XX საუკუნის მიჯნაზე შექმნილი რენე შმერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის თხზულებებისათვის, ილუსტრაციათა ესკიზები იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისათვის და სხვ. გამოყენაზე მიწვევები იყვნენ პირველკლასელებიც, რომლებიც „რწყილი და ჭიანჭველას“ ზღაპრის ილუსტრაციები გააფერადეს და წიგნად შეკრეს, ამაში მათ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე და მინისტრიც დაეხმარნენ.

მინისტრი საქართველოს რეგიონების პედაგოგებთან შეხვედრას განაგრძობს

ამჯერად ბ-ნ ნიკა გვარამია თელავის №1 საჯარო სკოლაში კახეთის რეგიონის 200-მდე პედაგოგს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა განათლების რეფორმის სიახლეებზე, განათლების ხარისხისა და სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე ისაუბრა და პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა. ნიკა გვარამიამ პრეზიდენტის სტიპენდიანტ 43 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ხათუნა ოჩიაური და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გაია არსენიშვილი.

თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილი პირველი სპორტული დარბაზი გაიხსნა

სკოლის სპორტული დარბაზი არასამთავრობო ორგანიზაცია "შშობელთა ხიდი" მხარდაჭერითა და იაპონიის საელჩოს დაფინანსებით გარემონტდა და სპორტული ინვენტარით აღიჭურვა. სპორტულ დარბაზთან მისასვლელად სპეციალური პანდუსები განთავსდა, სპეციალური ტრენაჟორები კი სკოლამ საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად მიიღო. დარბაზის რეაბილიტაციაზე სულ 81 960 ლარი დაიხარჯა. აქამდე, ფიზიკულტურის გაკვეთილები სკოლის ეზოში განთავსებულ სპორტულ მოედანზე ტარდებოდა. დარბაზის გახსნის ცერემონიას მინისტრის პირველი მოადგილე ირინე ქურდაძე და იაპონიის ულჩი მასაიში კამოპორა დაესწრნენ.

უმაღლესი განათლება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლის პრეზენტაციას დაესწრო

კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლა (კესს) კავკასიის რეგიონული კვლევის ინტერდისციპლინარულ ცენტრი იქნება, რომელიც მაღალი დონის სასწავლო და კვლევითი პროგრამებით იქნება უზრუნველყოფილი. სკოლის შექმნის მიზანია მიზნის ახალგაზრდები და მკვლევარები რეგიონებიდან, ასევე კავკასიის დაინტერესებული ადამიანები სხვა ქვეყნებიდან; აგრეთვე ხელი შეუწყოს მშვიდობას, სტაბილობას და დემოკრატიის განვითარებას კავკასიის რეგიონში. კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლა იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით. "შშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან" თანამშრომლობით შეიქმნა.



სპორტი

ახალგაზრდა "ბორჯღალოსნებმა" კონტინენტის პირველობა მძიმად დაიწყეს

მადრიდში სტარტი აიღო 21 წლამდედ მორაგბეთა ევროპის პირველობამ. ტურნირის ფავორიტებად რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს თვლიან.

პირველ მატჩში ახალგაზრდა "ბორჯღალოსნებს" ესპანეთის ნაკრები დაუპირისპირდა და ჩვენებურებს მედგარი ბრძოლა გაუმართა. ჩვენმა გუნდმა მეტოქე 35:26 დაამარცხა და გავიდა ტურნირის ნახევარფინალში, სადაც რუსეთის ნაკრებს შეხვდება. ასევე დაძაბულ პირველ მატჩში რუსებმა უკრაინის ნაკრები დაამარცხეს.

რაც შეეხება თავად თამაშს, ქართველი ახალგაზრდები მთელი შეხვედრის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. ისინი მეტოქეს ფიზიკურადაც ჯაბნიდნენ და სწორედ უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე მოიპოვეს გამარჯვება. ესპანელებს, რომლებსაც საკუთარი კედლები და გულშემატკივრები უმაგრებდნენ ზურგს, არაფრით არ სურდათ დანებება და მედგრად იბრძოდნენ, თუმცა, კლასმა და უკეთესმა მომზადებამ თავისი გაიტანა და ნიკოლოზ ჭავჭავაძის შეგირდებმა ევროპის ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგეს.

პიონობისკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგეს.

ესპანეთი - საქართველო 26:35
საქართველო: 8. ვიქტორ კოლელიშვილი (ჯაბა კიკვიძე 74), 7. დავით ჩიჩუა, 6. არჩილ კობახური, 5. ილია სურგულაძე, 4. ბექა ნიკოლაიშვილი, 3. ვასილ კაკოვიანი (გიორგი ჯაშიტაშვილი 73), 2. შალვა მამუკაშვილი, 1. ლადო გუნიავა (ირაკლი მირცხულავა 67); 9. გიორგი როყვაძე (შალვა მახარაშვილი 64), 10. გიგა გაბუნია (ლაშა ხმაღლაძე 44), 11. ალექსანდრე ტუჩაშვილი, 12. რატი ნუცუბიძე, 13. გიგა კორკელია (დავით

გრძელიშვილი 73), 14. რატი ხუციშვილი (გიორგი კალმახელიძე 44), 15. გოდერძი ჯოგლიძე.
4. ლელი: სურგულაძე, ტუჩაშვილი, კოლელიშვილი, ნუცუბიძე
3 გარდასახვა: ჯოგლიძე
3 ჯარიმა: ჯოგლიძე
2 სინბინი: სურგულაძე, ნუცუბიძე
6 მაისი. ნახევარფინალები
საქართველო - რუსეთი რუმინეთი - პორტუგალია
V-VIII ადგილების ნახევარფინალები
ესპანეთი - უკრაინა
გერმანია - შვედეთი



დავით კოჭირიძის სკიპი

არმაზი, მატსახელად რამაზი

...რადიოს ხმა გაავლიდა, ვიღაც ღლიდა: "ჩვენ გავათავისუფლებთ ქვეყანას სურბელებისა და მათგან წარმონაქმნებისგან, ჩვენ გავაგრძელებთ ილიას გზას, დავიბრუნებთ ტერიტორიებს და ძველებურად გადავიჭმებით ნიკოფოსიდან დარუბანამდე. დაიბ, ეს დრო არაა შორს..."
პახმელისგან დაბაუზებული ძლიერ ნამოვდა, ძლიერ მივიდა ტუალეტამდე და იქ დაალოცა დღე. თან ტურნალს კითხულობდა. გარეკანზე თითქმის მიშველი მომღერალი ანკაჩო ლაძე იყო პირში ჩუა-ჩუაპით და ქვევით ეწერა: "ხალხო, მე ხომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ვარ!" სწრაფად გადაათვალიერა სათაურები - "რა სერიოზი აქვს დეპუტატ ნაფროზაშვილის ქალიშვილს ინტიმურ ადგილას?" "უხ, ერთი სტალინი იყოს ცოცხალი!" "კომუნისტური პარტია მონარქიას ემხრობა..." "რა-ტომ იტრია ქორწინების პირველ ღამეს "მის რაჭა-ლუჩხუბის" ქმარმა?" ამ სტატიამ დაინტერესა, ბოლომდე ჩაიკითხა, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ არ ეწერა, თუ რატომ იტრია იმ ღამეს იმ საცოდავმა და იტრია თუ არა საერთოდ...

ჩაი ბოლომდე ვერ დალია. ტელევიზორში იმ ტიპის ბრიფინგს აჩვენებდნენ, ნიკოფოსიდან დარუბანამდე რომ ჭიმავედა რაღაცას. უზნებო აღმოჩნდა, ადრე კომკავშირის მდივანი იყო, მერე - პარლამენტარი, მერე - პროდიუსერი, მერე - განაბი, მერე - ნასედა, მერე - სუპერ ბარიგა და აი, სამშობლოზეც დაინყო ზრუნვა.

გარეთ საშინელი ამინდი დახვდა, წერილად თოვდა და მაგარი ქარი უბერავდა. მარტო ავტობუსის ფული ჰქონდა და გაჩერებისკენ ნაბინდალდა. გზაში ახალგაზრდების ჯგუფი შეხვდა გაუგებარი დროშებით, ალაქლადებული სახეებით და შეძახილით: "ხელისუფლება არის ცუდი!" უცბად ერთ-ერთი აქტივისტი გამოეყო, თვალი თვალი გაუყარა და ძალიან ხმაილადა უთხრა: "შემოგვიერთო, დაგვეცა ქვეყანა თავზე!" სიჩუმე. უცბად აქტივისტმა იცვლა: "ნათავრობის გომია!" იქიდან ჯგუფმა ბანი მისცა "გო-ში-ა, გო-ში-ა, ნახეთ, რა ცუდი პონტია..."

ლული მოუხდა არანორმალურად. უცბად უქინდნ და საზარელი ხმა მოესმა, ალგზნებული ხარისას ჰგავდა. შემინებულმა ძლიერ მიატრიალა თავი და თურმე ვიღაც ცხვირს იხოცავს - ჯერ ერთ ნესტოზე მიიჭირა ცხრა თითი და გრძელფორჩხილიანი ნეკა ისე აზია, როგორც ღვინის სინი. მერე მეორე ნესტოს მიხვდა, მერე გადააფურხა, ბოლოს ოთხად დაკეცილი, გაუთოებული ცხვირსაბოციტ ზეთიანი სახე მოსუფთავა და შეამჩნია, რომ ვიღაც უყურებს. "რას მიყურებ, ბიჭო, ხო არ გინდა, შუაზე გადაგხსნა?"

სადარბაზოში შევარდა დამფრთხალი, გული ერეოდა. დიხასნ ინვალი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ისევ გარეთა, ისევ რაღაც ჯგუფი მოდის, ოღონდ სხვა დროშებით და სხვა ლოზუნგით: "გვაცალეთ რა, ქვეყნის შენება!" ისევ გამოეყო აქტივისტი, მაგრამ, წინასწარ განსხვავებით, ჩუმად უთხრა: "მომი ჩვეთთან, არ ინანებ, დიდი პერსპექტივები გვაქვს." ისევ სიჩუმე. "რუსეთის ავტონტია, ბრატცი!" - იცვრა აქტივისტმა და შემოსძახა: "გო-ში-ა, გო-ში-ა, რუსეთზე გო-ში-ა!"

აი, გაჩერებაც. თხუთმეტი წუთი ელოდებოდა თავის ავტობუსს. ცხვირი, ყურები და ფეხები გაყინა, გულმძრვა დაეწყო, თავი უფრო ახტავდა. ავტობუსის მოახლოებათან ერთად მომლოდინეობაში პოზიციური ბრძოლა დაიწყო კართან მონინავე რიგში მოსახვედრად, რაც დაჯდომის გარანტიაა. ნაწილი წინ დაიძრა, ნაწილმა უკან დაიხია, ნაწილი ადგილზე დარჩა, როგორც რაგბიში აუტის მოწოდებისას.

იმ დღეს პირველად გაუმართლა - კარი ზედ ცხვირინ გაიღო და დაჯდომაც მოასწრო. ერთი სუნი ჰქონდა, როდის შეგეხება მძლავრი ტოტალიტატორის პოლეთს, როდის დაბრუნდებოდა და დაკეტვდა კარს, რომ ცოცხალი დამთბარიყო. დაბრუნდა. დათბა. მაგრამ სითბომ ახალი პრობლემა წამოიღო - დახურულ სივრცეში ერთმანეთში აირია უზმოს, ტურტლის, პახმელის, ოფლის, იაფი პარფიუმერის მძაღ არომატები. თავიდან დაეწყო გულსირვე და ოცნება დაიწყო: ნეტა ეხლა ზახული იყოს, სადმე მათში ვიყო, სუფთა ჰაერზე, მუხლებზე ვივდე და ნაკაღლის მაგივრად ჩხვრი ლული მომჩხვრებდეს...

უცბად პარლამენტის შენობასთან, სადაც მომდინარეობდა შიმშილობის 73-ე დღე მოთხოვნით, "ამ სექუნდშივე გადადგეს გიგანა ქაცარავა", გვერდით მჯდომი გაუპარსავი ჯიგითი წინ გადაიხარა და მოხუც ქალს ყურში დაუფერია - "რავა, აბორიგენმა ამერიკელებმა უნდა მას-ნაწლონ მე, ქართველ კაცს, დემოკრატია?" ქალი ცუდად გახდა. ავტობუსი გაჩერდა. ერთმა მუნუკებანამ ბიჭმა არულობით ისარგებლა და ასევე მუნუკებან გოგოს საჯდომზე ხელის ფათური დაუწყო. გოგოს ძალიან მოეწონა. ზუსტად ორ წელიწადში ეს წყვილი ბავშვს უზნის ექიმთან მიიყვანს მუნუკების მოსაპოვებლად...

მოხუცი ქალის პოსპიტალიზაციამ კიდე ათი წუთი წაიღო, ამდენივე დასჭირდა დემოკრატის ავტობუსიდან ჩადგებას. ჩვენი ძმა კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა, თავიდან შესცივდა, თავიდან დათბა, თავიდან იგრძნო სურნელთა საოცარი გამა, თავიდან აუზუფუყდა მუცელი. დროზე უნდა მივიღეს ვაკეში, სადაც გატყევილი სუთოუშნაინი ელოდება ბიძაშვილის საჩიბურეკები.

როგორც იქნა, მიაღწია. მერე ტაქსი გააჩერა, იყდა ლული თავისი სატელეტივით, გაიარა დოლოძეზე, სადაც არმაზას 12 ლარი და 90 თეთრი დაუტოვა ვინტის ორი ზახოდისთვის და უზომოდ ბედნიერი დაბრუნდა სახლში, სითბოში, ტელევიზორთან. ყველაზე მაგარი ეს უუყვარდა - პახმელიდან გამოსვლა, ტელევიზორში პოლიტიკოსების ჩხუბის ყურება და არმაზას ლოდინი. შვილებმა ითქვას, მისი ცხოვრების დედაბერი ეს იყო.

ლულმა მუშაობა დაიწყო (ტელევიზორში: "შენ ხარ პერსონა ნუნ-გრანტა და ამას ყოველთვის გეტყვი ტეტ-ნა-ტეტნი!"), მადაც გაეხსნა ("შენ პოლიტიკამი რა გინდა, ბოზის გაზრდილი ვიყო, შენ ელიავზე უნდა ყიდდე აკუმულატორებს, იმიტო რო შენი დაღუპულია ეს ქვეყანა"), სიგარეტს მოუკიდა (ნამყვანი: ნახეთ, რა თქვა თქვენზე, ბატონო იაკო? მე არ ვაპატიებდი!), არმაზაზე დაიწყო ფიქრი. ბოლო წელიწად-ნახევარის განმავლობაში ყველაზე ხშირად მასზე ფიქრობდა (ბატონმა იაკომ ოპონენტს სილა გაართვია და შეაფურთხა, იმან წიხლი მოუქნია, მაგრამ ნამყვანს გაართვია, ნამყვანი ყელში ეცა კიბლებით).

კარზე ზარია, მოვიდა! მაგრამ ეს არმაზი არ იყო. არმაზს ვინტის ხარშისას ჭურჭელი აუფუქქდა და ზუსტად ამ დროს საავადმყოფოში მიაქანებდნენ. ვინ იყო? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო, თუ არა არმაზი, მეტსახელად რამაზი.

მომავალ სამშაბათამდე

"კლივლენდის" ჯარია



ზაზა ფაჩულია კონფერენციის ნახევარფინალში გავიდა

ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალური სერიის გადამწყვეტ, მეშვიდე მატჩში დამაჯერებელი ანგარიშით - 91:78 სძლია "მაიამი ჰიტს" და კონფერენციის ნახევარფინალში გავიდა, სადაც რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდს და ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტს, ლებრონ ჯეიმსის "კლივლენდ კავალიერსს" დაუპირისპირდება. "მაიამისთან" თამაშში "ქორებს" საკუთარი მოედნის უპირატესობა ჰქონდათ, ასე რომ, მეშვიდე მატჩს სწორედ ატლანტას "ფილიპს არენამ" უმასპინძლა. ჯორჯიელემა ბრწყინვალედ ითამაშეს და თითქმის უშანსოდ დატოვეს მეტოქე. ამ მატჩისთვის "ატლანტას" დაუბ-

რუნდა ალ ჰარფორდი. სწორედ მან ითამაშა ძირითად ხუთეულში, თუმცა გუნდს მეტი სარგებელი ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ მოუტანა. მოედანზე გატარებულ 20 წუთში ზაზამ 8 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა, 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და 6-ვე საჯარიმო ზუსტად ტყორცნა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა "ჰოუქსის" ლიდერი ჯო ვაგნონი. მან 27 ქულა, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა და 4 პასი მოაგროვა. ჯომ სმიტი 21 ქულასა და 9 მოხსნას დასჯერდა. მაიამელთა ვარსკვლავმა დუეინ უიდემა კი 31 ქულა ჩააგდო, თუმცა, სტუმრები მარცხისგან ვერ იხსნა. "ჰოუქსსა" და "კავალიერსს" შორის სერიის პირველი მატჩი 8

მაისის დილას კლივლენდის "ქუიქენ ლოანს არენაზე" გაიმართება. "ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ჩვენ ყველაფერი დავდეთ მოედანზე ამ შედეგის მისაღწევად. ეს არის დიდი გამარჯვება გუნდისთვის და მთლიანად ქალაქისთვის. ჩვენ შემდეგ ეტაპზე გავედით," - თქვა ზაზამ, რომელსაც მოედანზე ყოველი გამოჩენისას ატლანტელი ფანები ფეხზე ამდგარი, ოვაციით ხვდებოდნენ. უკრაინის საკალათბურთო ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩში მანუჩარ მარკიშვილის "ბუ კიევა" "დონეცკს" უმასპინძლა და სენსაციური მარცხი განიცადა - 55:70. სერიის მეორე მატჩი 5 მაისს

ისევ კიევიში გაიმართება, 11 მაისს კი გუნდები ღონეცკში გადაინაცვლებენ. თუ საქირო გახდა, 13 მაისს მეოთხე მატჩი ისევ ღონეცკში შედგება. 15 მაისს გადამწყვეტ შეხვედრას კიევი უმასპინძლებს. გიორგი შერმადინს არავითარი წვლილი არ მიუძღვის ბერძნული "პანათინაიკოსის" დიდ წარმატებაში, თუმცა ახალგაზრდა ქართველი ცენტრის გუნდმა ევროლიგის ფინალში ტურნირის გამარჯვებულ მოსკოვის ცსკა ორ მატჩში დაამარცხა და კონტინენტის საუკეთესო საკალათბურთო კლუბის ტიტული მოიგო. გიორგი შერმადინი თავისი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა და ოთხთა ფინალს ტრიბუნებიდან ადევნა თვალს.

ამისულაშვილი 2 მილიონად შეფასდა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრი ალექო ამისულაშვილი ნალჩიკის "სპარტაკიდან" გროზნოს "ტერეკში" გადავიდა. ჩეჩნურმა კლუბმა ნალჩიკელებს ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერში ევროპული მასშტაბით საკმაოდ დიდი თანხა - 2 მილიონი დოლარი გადაუხადა.

ამისულაშვილმა რამდენიმე თვის წინ რუსული პასპორტი აიღო. როგორც თავად აცხადებს, ამის მიზეზი საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარების სურვილი იყო. თუმცა, ის კვლავ საქართველოს ნაკრების წევრად რჩება და ექტორ რაულ კუპერის გუნდში მომავალშიც გააგრძელებს თამაშს.

მსატყევე ცნობილია

უეფამ დაასახელა ის არბიტრები, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩებს განსჯიან. "არსენალისა" და "მანჩესტერის" დღევანდელ მატჩს იტალიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება რობერტო როსეტის ხელმძღვანელობით, "ჩელსისა" და "ბარსელონას" შეხვედრას კი ნორვეგიელი ტომ შენენ ევბერეს ბრიგადა განსჯის.

რანიერი სეზონს ვერ დაასრულებს

იტალიურ გამოცემა "ტუტოსპორტის" ინფორმაციით, ტურინის "იუვენტუსის" მესვეურები კლავდიო რანიერის სეზონის დასრულებასაც არ დააცხადებენ, ისე დაითხოვენ სამსახურიდან. მის ადგილს კი "ბებერი ქალბატონის" ლეგენდარული მცველი ჩირო ფერარა დაიკავებს.

თუ "ტუტოსპორტის" ინფორმაცია დადასტურდება, "იუვენტუსის" ახლანდელი თავკაცი პირველი იქნება ბოლო 40 წლის განმავლობაში, ვისაც "იუვეს" მთავარი მწვრთნელის პოსტი სეზონის მსვლელობისას დაატოვებინეს.

ვითამაშოთ შემტევი ფეხბურთი!

"ბარსელონას" ლიდერმა ლეო მესიმ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ისევე უნდა ითამაშოს "ჩელსის" წინააღმდეგ, როგორც ეს "კლასიკოში" იყო.

"თუ ისევე ვითამაშეთ, როგორც "რეალის" წინააღმდეგ, გოლის გატანის უამრავი შანსი გვექნება. ლონდონში კარგი საბროლო განწყობით მივემგზავრებით და გამარჯვების გვჯერა", - აცხადებს მესი.

"ბარსამ" "რეალის" წინააღმდეგ ფანტასტიკური ფეხბურთი აჩვენა, თუმცა კატალონიელებს ამაში "სამეფო კლუბიც" დაეხმარა, რომელმაც მთლიანად გახსნა თამაში. რას იზამს "ჩელსი"?

ანრის გარეშე

სააგენტო "სკაი სპორტის" ინფორმაციით, "სტემფორდ ბრიჯზე" გასამართ მატჩს "ჩელსისა" და "ბარსელონას" შორის ფრანგი ტიერი ანრი გამოტოვებს. ფორვარდმა "კლასიკოს" დროს მიიღო ტრავმა და კატალონიური გუნდის ექიმების განცხადებით, სულ მცირე, ორი კვირა მოუწევს დასვენებას.

ბენიტესმა ოუენის დაბრუნება გამოაცხადა

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა გააკეთა კომენტარი მაიკლ ოუენის შესახებ დაბრუნებასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ ზაფხულში ოუენი თავისუფალი აგენტი გახდება. ბრიტანულ პრესაში დაინერა, რომ 29 წლის ფორვარდი მშობლიურ "ლივერპულში" ბრუნდება.

"რატომღაც ყველა პარალელს ავლებს. ამბობენ, თითქოს იგივე ვითარებაა, რაც რობი ფაულერთან დაკავშირებით, მაგრამ ასე არ არის. რობი იცოდა, თუ რა როლი ექნებოდა მას გუნდში, მაიკლი კი ჯერ ახალგაზრდა და არა მგონია სათადარიგოს როლს დასჯერდეს. დიას, ოუენი უმძალესი დონის ფორვარდია, თუმცა პირადად მე სრულიად კმაყოფილი ვარ ფერნანდო ტორესით", - აცხადებს ბენიტესი.

ყველაზე ბედნიერი ადამიანი

"კორინთიანსმა" ორი მატჩის ჯამში "სანტოსი" დაამარცხა და სან პაულოს შტატის ჩემპიონატი მოიგო. ფეხბურთში დაბრუნებული რონალდო არ მალავს, რომ ამ ფაქტმა მას უდიდესი ბედნიერება მიანიჭა.

"არა მგონია, ახლა მსოფლიოში ჩემზე ბედნიერი ადამიანი იპოვოთ. უმძიმესი ტრავმის შემდეგ დავბრუნდი და ტიტული მოვიგე. ამაზე კარგი რა უნდა იყოს. რაც შეეხება ჩემს შესახებ დაბრუნებას ნაკრებში, ამის შესახებ რა უნდა გითხრათ. მე ეროვნული გუნდის ერთგული ჯარისკაცი ვიყავი და ასეთად ვრჩები. თუ მწვრთნელს დაეჭირებენ, სიამოვნებით ვითამაშებ", - ამბობს რონალდო.

გოგუა გაანითქვას



გოგუას მეჭირის წინააღმდეგ თამაში არ დასცალდა

გასულ უქმეებზე ქართულ საფეხბურთო ლეგიონს მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი. ჩვენი ბიჭები ჩრდილში მოექცნენ, თუმცა, თუ სიმართლეს ვიტყვი, ამ დღეებში მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ესპანური კლასიკოსკენ იყო მიპყრობილი და იმის ფონზე, რაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" ხდებოდა, საინტერესო აღარაფერი იყო.

დავინწყებთ საუკეთესო ხუთეულით, რომელიც ქართველებისთვის სეზონის მიწურულს ლამის მხოლოდ გერმანიის ჩემპიონატად იქცა.

ბუნდესლიგის 30-ე ტური ქართველი ფეხბურთელების გუნდებისთვის ნარეზმატეული გამოდგა და ვერც ჩვენმა ბიჭებმა ისახელეს თავი, თუ წინა ტურში როგორც "შალკემ", ისე "კარლსრუემ" სტუმრად გაიმარჯვეს, დღეს საკუთარ მოედანზე კობაშვილისა და ყენიას გუნდმა მარცხი განიცადა, იაშვილისა კი ქულას დასჯერდა.

გელზენკირხენელები საკუთარ მოედანზე თითქმის უმოტივაციოდ დარჩენილ ლევერკუზენის "ბაიერს" მასპინძლობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდათ, მოულოდნელად ანგარიშით - 1:2 დამარცხდნენ, რითაც უეფას ზონას დაშორდნენ. მართალია, ქართველი ფეხბურთელებიდან მასპინძელთა განაცხადში ორივე იყო, მაგრამ თამაშის საშუალება მხოლოდ კობაშვილს მიეცა. საყრდენ ნახევარმცველად მოთამაშე ქართველმა ფეხბურთელმა მეტოქის კარის მიმართულებით ერთხელ დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. ამ მარცხის შემდეგ "შალკე" ერთი საფეხურით დაქვეითდა და ევროპის ლიგაზე გამსვლელ მეზუთე ადგილზე მყოფ გუნდს, რომელსაც ერთი თამაშით მაკლები აქვს ჩატარებული, ხუთი ქულით ჩამორჩება. თუ გავითვალისწინებთ, რომ

ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურია დარჩენილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კობაშვილს და ყენიას ევროტურნირებზე გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი აქვთ.

უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუემ", რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის. "იაშკას" გუნდი საკუთარ მინდორზე უშუალო კონკურენტთან ფრეს დასჯერდა.

ალექსანდრე იაშვილი 61-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და დარჩენილ დროში ერთი არაზუსტი დარტყმა მოასწრო. 30 თამაშის შემდეგ "კარლსრუე" 23 ქულით ისევ ბოლო ადგილზეა და სახიფათო ზონისგან თავის დასაღწევად ოთხქულიანი ჩამორჩენის გაბათილება სჭირდება.

პირველი ბუნდესლიგის საგზურს კიდევ უფრო მიუახლოვდა დავით თარგამაძის "ფრაიბურგი", რომელმაც "ფრანკფურტი" 4:1 დაამარცხა და 30 ტურში 61 ქულა მოაგროვა.

ქართველი ნახევარმცველი ფრაიბურგელთა განაცხადში არ ყოფილა, მისი გუნდი კი ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს.

იტალიის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვებები იზეიმეს "მილანმა" და "პალერმომ". ცხადია, "კატანის" დამარცხებაში კახა კალაძემ მონაწილეობა ვერ მიიღო - ტრავმის გამო ქართველი მცველი სეზონის ბოლომდე ისვენებს. "პელერმომ" ანგარიშით 5:1 დაამარცხა "კალიარი". მჭედლიძე კი იყო თავისი გუნდის განაცხადში, მაგრამ მიუდანხვარე არ გამოჩენილა. შეგახსენებთ, რომ სიცლიური გუნდი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერის გამოსყიდვას გეგმავს.

ინგლისურმა პრემიერლიგამ ამჯერადაც ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე ჩაიარა. ქართველი მცველის "ბლექბერნი" "მანჩეს-

ტერ სიტისთან" დამარცხდა. "ბლექბერნს" 37 ქულა აქვს და მე-15 პოზიციაზეა.

ავსტრიის პირველობაზე "ალტაბთან" გასვლითი მატჩი 1:1 დაასრულა გრაციის "სტურმი". სტუმართა რიგებში ილია კანდელაკმა და გიორგი შაშიაშვილმა შეუცვლელად ითამაშეს, ამ უკანასკნელმა კი ყვითელი ბარათიც მიიღო.

"სტურმი" 55 ქულით მესამე ადგილზეა.

არც რუსეთის ჩემპიონატში გამოუჩენიათ ქართველებს თავი. გასულ ტურში ბრწყინვალედ ითამაშა გოგიტა გოგუამ - მან ნალჩიკის "სპარტაკს" სეზონში პირველი მატჩი მოაგებინა. ამჯერად ნალჩიკელები დავით მუჯირის "ლოკომოტივს" შეხვდნენ და 0:1 დამარცხდნენ. მატჩის 45-ე წუთზე მსაჯმა გოგუა მინდვრიდან გააძევა, რამაც რკინიგზელებს საქმე გაუადვილა.

ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, მუჯირი კი 83-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე და მსაჯის მიერ დამატებულ დროში ყვითელი ბარათი მიიღო.

"ლოკომოტივი" 9 ქულით მე-10 ადგილზეა, ხოლო ნალჩიკის "სპარტაკი" 5 ქულით მე-15-ია.

გვაზავას "ტერეკი" ტომსკში ადგილობრივ "ტომს" ეთამაშებოდა და 1:2 დათმო მატჩი. ქართველი ფეხბურთელი სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ ინერტულობის გამო მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს.

იოლად გაიმარჯვა ნუკრი რევიშვილის, ლაშა სალუქვაძისა და დავით კვიციანიას "რუბინმა", მაგრამ კვიციანის გარეშე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც მოსკოვში, ადგილობრივ "სატურნთან" გამართულ მატჩში ყაზანელთა განაცხადში მოხვდა, არის კვიციველია, მაგრამ მოედანზე შესვლის საშუალება არც მას მისცემია. "რუბინმა" კი აქამდეც გასავარდნ ზონაში მყოფი მეტოქე

მისსავე მოედანზე 5:0 დაამარცხა.

უკრაინის ჩემპიონატში მალხაზ ასათიანის "დინამო" გიორგი ციმაკურიძის "ზარიას" ესტუმრა და 1:0 იმარჯვა. ორივე ქართველი ფეხბურთელი სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად იასპარეზა.

26 ტურის თავზე კიეველები 67 ქულით ლიდერობას ინარჩუნებენ, ლუგანსკელები კი 28 ქულით მე-11 საფეხურზე არიან.

ალექსანდრე კობახიძის, ჯაბა კანკავასა და ბექა გოცირიძის "დნიპრო" მხოლოდ გურულების გარეშე ჩავიდა და ადგილობრივ "მეტალურგთან" 1:1 ითამაშა.

ქართველი ფეხბურთელების დაპირისპირება უნდა შემდგარიყო ლოვოვში, სადაც ალექსანდრე გურულის "კარპატი" ლადო ბურდულისა და ვასილ გიგიაძის "ტავრიას" მასპინძლობდა. სამივე ქართველი ფეხბურთელი განაცხადში იყო, მაგრამ თამაშის საშუალება მხოლოდ გურულს მიეცა, მაგრამ ინერტულობის გამო მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს. მატჩი სტუმრების გამარჯვებით დასრულდა.

მინდორზე არ გამოჩენილა დიმიტრი ტატანაშვილი, მისმა "ვიკტორია პლზენმა" კი სტუმრად "იბლონეცთან" 0:3 ნააგო და 26 ტურის თავზე 33 ქულით მე-9 ადგილზე დარჩა.

მოლდოვის საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტურში კი ლევან კორღალიძის გოლის დახმარებით "დაჩია" "ნისტრუ" 3:0 დაამარცხა და ვერცხლის მედელები გაიხალდა.


კიშინიოველებს, რომელთა ლირსებას კახაბერ მუჟავანაძე და ჯაბა დვალიც იცავენ, 59 ქულა მოუგროვდათ და მეორე ადგილს ველარაფინ შეეცილება.

ჩემპიონის ტიტული უკვე განადგობული აქვს ვაჟა თარხნიშვილის "შერიფს", რომელმაც "ტილიგულს" მოუგო - 2:0.

ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს ცხელი ზაფხული ელით

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელებს ნუგზარ სხირელსა და თამაზ ბენდიანიშვილს საკუთარ შევირდებთან ერთად ცხელი ზაფხული ელით. აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თბილისში ჩასატარებელი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატია. ახალგაზრდებიც და ჭაბუკებიც მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის მზადებას რა ხანია შესდგომიან.

ევროპის ჩემპიონატამდე (30 ივნისი - 5 ივლისი) სხირელს ნაკრების კანდიდატებზე დასაკვირვებლად, რჩეულთა გამოსავლენად და მათ მოსამზადებლად ანტალიური საერთაშორისო ტურნირი (14-18 მაისი) და ვარინის დასკვნითი შეკრება რჩება. აი, ჭაბუკები კი ოფლს გამოიდენენ ბათუმში (13-26 მაისი), მერე თურქეთში იზმირის ტურნირისკენაც აიღებენ გზას (29-31 მაისი). გარდა ამისა, საევროპო სამ-



ზადისში შედის რაშტში (ირანი, 25-26 ივნისი) გამგზავრებაც. ირანული შეკრების შემდეგ კი კონტინენტის ჩემპიონატის ჯეორიცი დადგება, რომლისთვისაც თავის მხრივ მზადებას შედგომია ზრენიანი (სერბეთი, 21-26 ივლისი).

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებს

შორის ევროპის ჩემპიონატი იმადია, რომ მასპინძლის რანგში ნარვდებით დანარჩენი ევროპის წინაშე. სხვაგვარად კი აღმატებულობით უფრო მნიშვნელოვანი ანკარაში ჩასატარებელი მსოფლიო ჩემპიონატია (4-9 აგვისტო).

ის, რომ შევირდები ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებში ად-

გილის დასაკავებლად საკუთარი დამრიგებლებისთვის თავის მონებებს ლამობენ, ახლახანს დასრულებული ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც გამოჩნდა.

მაშინ, როდესაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით სულს ლაფავს, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ორივე ასაკობრივი ნაკრები ბაქოდან შინ ოქრო ვერცხლით დახუნძლული დაბრუნდა. უჩვეულოა ისიც, რომ საქართველო აზერბაიჯანის საზღვარზე ქართველები ასეთი დოვლათით გამოატარეს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

ერთი რამ ცხადია, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებმა საქართველოს საზღვარი მედლებით დახუნძლულბმა გადმოკვეთეს.

ასე მაგალითად, ნუგზარ სხირელის ნაკრებმა ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, ხოლო თამაზ ბენდიანიშვილის ჭაბუკებმა ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მაკატიით, მე ნავაბი!

პაკიომ რეპუტაცია განიმტკიცა

ბიბა გურასაშვილი

ბევრი კი იტრაბახა, მაგრამ რაც გამოვიდა ამ საქმიდან, კრივის მოყვარულმა საკუთარი თვლით ნახა. თუ გულშემატკივარი უკმაყოფილო დარჩა, მხოლოდ იმიტომ, რომ სეირის ხანგრძლივი მოლოდინი წუთებში დასრულდა. უფრო სწორად, ოთხი სხვადასხვა წინითი კატეგორიის მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მენი პაკიომ ორი სხვადასხვა წონითი კატეგორიის ასევე ყოფილ ჩემპიონს რიკი ჰატონს ლას ვეგასის MGM Grand-ზე ორ რაუნდში ღრმა ნოკაუტი აგებდა. თავად კი, წონითი კატეგორიების მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის რეპუტაცია განიმტკიცა. ჩხუბს ტრადიციული შეფასებები მოჰყვა.



ჰატონის დანოკაუტებით და მისთვის მეექვსე წონით კატეგორიაში IBC-ს ტიტულის დაუფლებით. პაკიომ ერთგვარი რეკორდი დაამყარა

პაკიოს ბრიტანელზე უპირატესობა პირველივე რაუნდში აშკარაზე მეტი იყო. ჰატონმა, რომელიც ფილიპინელთან შეხვედრამდე პირველი ნახევრად საშუალო წონის საუკეთესო მოჩხუბრად ითვლებოდა, პირველივე რაუნდში ორჯერ იგემა მძიმე ნოკდაუნი. ბრიტანელი მალე მოეგო გონს და მეორე რაუნდში ჩხუბი გააჩაღა. რაუნდის ბოლო წუთზე პაკიომ ინგლისელს ყბაში ზუსტად დაარტყა და ჰატონი ღრმა ნოკაუტში გაუშვა. ფლოიდ მეივეზერ-უფროსი, რომელიც ფილიპინელთან და ამავე დროს კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ტიტულისთვის საჩხუბრად ამზადებდა ჰატონს, ფიქრობს, რომ პაკიოსთან ჩაფლავების შემდეგ მისმა ქვეშევრდომმა ასპარეზობა უნდა დაასრულოს. "ჩემი დავალებები არ შეუსრულებია, - ტელეარხ Sky Sports-თან ინტერვიუში უკმა-

ყოფილო ამბობდა მეივეზერ-უფროსი. მისი შეცდომა ის იყო, რომ დაშვებული ხელებით ჩხუბობდა. ორთაბრძოლის წინ გასახდელში ვეუბნებოდი, ხელეები აუცილებლად ნიკაპთან ჰქონოდა. დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი რამაა. ვფიქრობ, სჯობს კრივიდან ნავიდეს. თუმცა ეს თვითონ უნდა გადაწყვიტოს. მისი ბოლო ორი მცდელობა ნარუმატებლად დასრულდა. თავდაპირველად ჩემს შეილთან ნააგო (ჰატონი ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს 2007 წლის 8 დეკემბერს შეხვდა MGM Grand-ზე და მეათე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა), ახლა კი - უფრო სუსტ მოკრივესთან. ასე რომ, სჯობს ნავიდეს". ამასობაში მენი პაკიომ ან უკვე ყოფილ მეტოქეს პაკივი დასდო - ღირსეული კაციაო. "მომხდარის მიუხედავად, ის კარგი მოკრივეა. დღეს მე გამიღიმა ბედმა, პირველმა მე და-

ვარტყი. მარცხენა გვერდითი დარტყმა. ეს იყო მძიმე დარტყმა. არც მიფიქრია, რომ ადგომას შეძლებდა. ორთაბრძოლის წინ ამბობდნენ, რომ ზედმეტად პატარა ვარ პირველი ნახევრად საშუალო წონისთვის. ამბობდნენ, რომ რიკი ჩემზე მსხვილია, თუმცა, მე მიმარჩია, რომ რიკზე მსხვილი ვარ. რაც არ უნდა იყოს, მაინც კარგი მეტოქეა". ფილიპინელისგან განსხვავებით, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ამაოდ ელოდნენ ბრიტანელს. მოგვიანებით დამსწრეთა აცნობეს, სიფრთხილეს თავი არ სტიკვია და ჰატონი გამოკვლევებზე საავადმყოფოში წავიყვანეთო. "მის მდგომარეობაზე ვწუხდით. გვინდოდა დავრწმუნებუნიყავით, რომ მას ყველაფერი რიგზე ჰქონდა, - Hatton Promotions-დან აცხადებდა გარეტ უილიამსი. რიკიმ საკუთარ ფანებს შეუთვალა, რომ მომხ-

დარის გამო ძალზე წუხს, ნანობს, მაგრამ დარტყმა მართლა მაგარი იყო. პაკიომ დაგვანახა, თუ რატომ თვლიან მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედ. ასეთ მეტოქესთან წაგება კი სირცხვილი არ არის". საკუთარი შევირდით მეტად ამაყი იყო პაკიოს პრომოუტერი ბობ არაუმი. მან თქვა, არავის არ შესწევს უნარი, მას წინააღმდეგობა გაუწიოსო. "ამ ფილიპინელს ვერავინ დაამარცხებს, ვერავინ! მისი გამოსვლა საოცრება იყო. ორმოცი წელია ამ საქმეში ვარ, მაგრამ არასდროს არ მინახავს სისწრაფისა და დარტყმის ძალის ასეთი დამთრგუნველი შერწყმა". იგივეს იმეორებს პაკიოს მწვრთნელი ფრედი როუჩი. მას ყველას დამარცხება შეუძლია. მისი წყალობით არც მე გამოვიყურები ცუდად. ის რომ საუკეთესოა, მეც საუკეთესო მწვრთნელად მაქცევსო.

"არსენალი" ფავორიტია
დღეს ლონდონში, "ემირეთის" სტადიონზე, ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში "არსენალი" "მანჩესტერს" უმასპინძლებს. მეთოფეთა მწვრთნელს თავისი გუნდი ფინალში გასვლის მთავარ ფავორიტად მიაჩნია. "სავარაუდოდ, ორი ფორვარდით ვითამაშებთ, თუმცა ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, იქნება თუ არა ყველა ჯანმრთელად. იმედი მაქვს, რობინ ვან პერსი თამაშს შეძლებს. ერთი კვირის წინ "მანჩესტერმა" პირწმინდად გვაჯობა, ახლა კი როლები შეიცვლება და ფავორიტად ჩემი გუნდი მიმარჩია", - აცხადებს ვენგერი.

"კლასიკოს" გამომძახილი
მადრიდში, "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალის" განადგურების (6:2) შემდეგ "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა, ბენდიერმა ხოსეპ გვარდიოლამ ასეთი განცხადება გააკეთა: "ჩემპიონატის მოგება ჯერ კიდევ თვენახევრის წინ შეგვეძლო, მაგრამ "რეალი" აგრძელებდა გამარჯვებებს და წინ არ გვიშვებდა. ამის გამო მადრიდელებმა უბრალოდ გვაიძულეს, ჩამოვსულიყავით და ისინი "სანტიაგო ბერნაბეუზე" გავგენადგურებინა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო - ეს იყო დიდი საღამო, რომელიც სამუდამოდ შევა ისტორიაში. ჩემმა ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს. არ შემიძლია პაკივი არ მივაგო "რეალს", რომელიც ბოლო მომენტამდე იბრძოდა და არ ნებდებოდა. მადრიდელთა ახალგაზრდა მოთამაშეებს კი ვურჩევ, მაგალითი აიღონ რაული-სა და იკერ კასილასისგან."

საკუთარი მოსაზრება გამოთქვა "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ხუანდ რამოსმაც, რომელიც ალბათ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს თანამდებობას.

"ამ წაგების შემდეგ პირში რაღაც უსიამო გემო დამრჩა. ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ქულები, არამედ ჩემპიონობის მნიშვნელოვანი შანსებიც. როგორც ჩანს, ახლა "ბარსელონა" დონით მაღლა დგას ჩვენზე, რასაც დაცვაში დაშვებული უამრავი შეცდომა დამატა. პირველი გასვლითი მატჩის შემდეგ "ბარსელონასთან" ყველა გვაკრიტიკებდა იმის გამო, რომ მაშინ დაცვითი ფეხბურთი ვითამაშეთ. ახლა ვცადეთ, თამაში გავგეხსნა, შეგვეტია და რა შედეგიც მივიღეთ, ყველამ კარგად ნახეთ. ამ დღეებში, რა თქმა უნდა, ყველანი ცუდ გუნებაზე ვიქნებით, მაგრამ სამშაბათიდან ისევ უნდა ჩავეერთოთ მუშაობაში, რადგან ჩვენ პროფესიონალები ვართ. ჯერ კიდევ არსებობს ჩემპიონობის თეორიული შანსი და ამისთვის ბოლომდე ვიბრძობლებოთ".

გორლიცს მიუნხენში აბრუნებენ

"ბაიერნის" მესვეურები მომავალი სეზონისთვის "კარსლუეში" იჯარით გაშვებული მარჯვენა მცველის ანდრეას გორლიცის კლუბში დაბრუნებას გეგმავენ. ამ პოზიციაზე "ბაიერნს" მიმდინარე სეზონში სერიოზული პრობლემები აქვს - არც კლუბის ხელმძღვანელობა და არც ქომაგები კრისტიან ლელისა თუ "მილანისგან" ნაქირავები მასიმო ოდოს თამაშით კმაყოფილი არ არიან.

ვან გაალი არჩევანს აკეთებს

მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ლუი ვან გაალმა განაცხადა, რომელიმე დიდი კლუბის მწვრთნელობა მინდაო, ჰოლანდიელი არ ჩქარობს დააკონკრეტოს, კერძოდ, სად გააგრძელებს კარიერას. გერმანული მედია ირწმუნებოდა, რომ ვან გაალი "ბაიერნს" ჩაიბარებდა, თუმცა გამოცემა "ბილდთან" საუბარში ჰოლანდიელ სპეციალისტს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

"ჰოლანდიელ ჟურნალისტებს ვუთხარი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მსურს, - თქვა მან, - ძალიან ბევრი შეთავაზება მაქვს. გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მივიღებ."

რანგნიკი იმუქრება

ბუნდესლიგის წლევედელი გათამაშების მთავარი აღმოჩნა, "ჰოფენჰაიმის" მთავარი მწვრთნელი რალფ რანგნიკი კლუბის მესვეურებს დაემუქრა, რომ თუ უახლოეს მომავალში გუნდი ახალი ფეხბურთელებით არ გაძლიერდა, ის თანამდებობას დატოვებს.

"ასეთ საშუალო დონესთან იდენტიფიცირება აღარ მსურს და მომდევნო ჩაფლავებებს აღარ შევეგუები, - თქვა რანგნიკმა, - ჩვენ 6-7 პოზიციის გაძლიერება გვჭირდება. მანამ არ წავალ, სანამ იმის შეგრძნება მექნება, რომ კლუბი ვითარდება. მაგრამ მექნება თუ არა ასეთი შეგრძნება, ეს უახლოეს ექვს-შვიდ კვირაში გაირკვევა."

elite 2009
MODEL LOOK
GEORGIA

**GET TO THE TOP
2009**

**დაიკყარი მწვერვალში!
გახდი მოდელი!**

საკრიზო ფონდი
\$275 000

Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007



Elite Model Look Georgia 2009

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-იგინვეთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ევანგელისტა, სტუდენტი სემინარი, ჯაქვია შიფუჩი, სინდი ჯიჟოფოხიდი - მათ აიხრებს Elite Model Look-ი და გახდენ კოპ მოდელები.

13-22 ნდამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიხველი ნაბიჯი კოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინანსზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **\$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და ნახმაგებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კაჩიხას.



Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008



ინჰარკო! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიუ ნორდის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge



1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოქრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT-ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის
და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი კიკიბური

გთავაზობთ:
ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, "სამების" ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ბეტონშემრევი: BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა 1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
 მწარმოებელი: BMC
 მოდელი: BMC PRO 935 FTE
 მოცულობა: 10 მ.3
 ძრავი: Cummins C 350-20
 (Euro2) Turbo Intercooler
 სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
 გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
 ბეტონშემრევი დანადგარი:
 LIEBHERR
 გარანტია: 1 წელი
 მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, ღ. ალექსანდრის ხეივანი მკ-12 კმ.
 ☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

TEGETA TRUCK & BUS LTD

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს სიმაგლიკის:

გარბის, დროშისა და სიმაგლიკური განსაზღვრის საუკეთესო ნამუშევრის გამოვლენის მიზნით.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს;
 გერბისა და დროშის პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნას ჰერალდიკის
 კანონების დაცვით;
 გერბი, დროშა და სიმაგლიკური გასაღები შესაძლოა შესრულებული იყოს ნებისმიერი სახე-
 ვითი საშუალებით(ფანქარი, გუაში,ტუში, აკვარელი, ტემპერა,
 აკრილი,შერეული ტექნიკა და სხვა), აგრეთვე დასაშვებია კომპიუტერული დიზაინის გამო-
 ყენება-ამოხეჭილი ფერად და შავ-თეთრ პრინტერზე);
 საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტი შესაძლებელია იყოს როგორც
 ფერადი, ასევე შავ-თეთრი(ჰერალდიკის შესაბამისად), ამასთან ყოველ ეგზემპლარზე უნ-
 და იყოს აღნიშნული ავტორის დევიზი;
 კონკურსში მონაწილემ თავისი ნაშრომი, გერბი დროშა და სიმაგლიკური გასაღები უნდა
 წარმოადგინოს A4 ზომის ფორმატზე ცალ-ცალკე. შესაძლებელია ერთ(აპ) ფორმატზე რო-
 გორც ფერადი, ასევე შავ-თეთრი
 ნამუშევრის გამოსახვა ერთად ან თითოეულისა ცალ-ცალკე;
 საკონკურსო მასალებს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით. კონვერტში
 უნდა მოთავსდეს ავტორის მიერ შესრულებული გერბის, დროშისა, და სიმაგლიკური გასა-
 ლების ნიმუშები ერთად ან ცალ-ცალკე, სასურველია ავტორმა
 წარმოადგინოს ნამუშევრების მოკლე ახსნა-განმარტება;
 კონვერტს უნდა ეწეროს: სამუშაო ჯგუფის მისამართი და დასახელება,აგრეთვე მონაწი-
 ლის დევიზი, ამავე კონვერტში უნდა იდოს მეორე
 დალუქული კონვერტი დევიზით, რომელშიც აღნიშნული იქნება ავტორის ვინაობა, მისა-
 მართი და საკონტაქტო ტელეფონი
 კონკურსში გამარჯვებული გერბისა და დროშის ნიმუშები წარედგინება
 საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოს შესაბამისი სტატუსის მისა-
 ნიჭებლად.
 საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის საბჭო იტოვებს უფლებას გამარჯ-
 ვებული ნამუშევრის ავტორთან შეთანხმებით შესწორება შეიტანოს წარმოდგენილ ნამუშე-
 ვარში ჰერალდიკის კანონების შესაბამისობაში მოსაყვანად.
 კონკურსზე წარმოდგენილი მასალები შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სახელმ-
 ნიფო ატრიბუტიკასთან. (არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს
 საქართველოს სახელმწიფო გერბსა და დროშას);
 კონკურსში მონაწილეობა, რისი დასტურიცაა გერბისა და დროშის დალუქული კონვერტის
 მიღება სამუშაო ჯგუფის მიერ, ნიშნავს კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღებას
 კონკურსის მონაწილის მიერ.

კონკურსში მონაწილეობის ვადა განისაზღვროს გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბანცხადება

2008 წლის 17 დეკემბრის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N12 (ნინონმინდა, სოფ.
 სპასოვკას ტერიტორიაზე, სპასოვკა"-ს ბაზალტის (სალორლე) გამოვლინება) და 2009
 წლის 8 აპრილის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N16 (გორი, სოფ. ახალდაბის ტე-
 რიტორიაზე, მდ. ლიახვის ქვიშა, ხრეშის საბადო) ობიექტებზე საქართველოს ეკონომი-
 კური განვითარების სამინისტროში 2009 წლის 8 მაისს 12 საათზე აუქციონი გაიმართე-
 ბა. მის: ჭანტურიას ქ. N12; ტელ: 99 11 29. აღნიშნულ ობიექტებზე უქციონში მონაწილე-
 ობისათვის განცხადებების მიღების ბოლო ვადაა ა/წ 7 მაისი.

ბანცხადება

შპს მშენებელი 2004 აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარ-
 მო ობიექტის - ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამა-
 ტების დაფქვით) დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების
 შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ
 მისამართზე - ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ.№1 და გარემოს და ბუნებრივი რესურსების
 დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას
 ქ.№6).

საჯარო განხილვა მოენციობა: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ.№1, 2009 წლის 23 ივნისს
 14:00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს მშენებელი
 2004 -ის ადმინისტრაციას.

შპს მშენებელი 2004

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ 2009 წლის
 14 აპრილს გამოქვეყნებულ სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტრის აგების სა-
 ხელმწიფო შესყიდვისათვის სატენდერო განცხადებაში დაშვებულია მექანიკური შეც-
 დომა, კერძოდ: სატენდერო განცხადების ტექსტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის წინა-
 დადებას - დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახ-
 დამდე სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ შემსყიდველ ორგანიზაციაში განცხადე-
 ბაში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო კომისიის აპარატი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ტენდერს სერვერის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი:

| დასახელება | მახასიათებელი | რაოდენობა |
|-------------------|--|-----------|
| Processor | Quad-Core Intel® Xeon® X7350 (2.93GHz, 2x4M cache, 130Watts) | 4 |
| Memory | 8 GB FBD PC2-5300 2 x 4 GB Dual Rank Kit | 8 |
| Network | Embedded NC373i Multifunction Gigabit Server Adapters | 2 |
| | NC360T PCI Express Dual Port Gigabit Server Adapter | 1 |
| Controller | Smart Array P400i embedded/512MB BBWC | 1 |
| Power | Power Supplies standard (third and fourth power supplies for redundancy) | 4 |
| Optical Drive | Slimline DVD | 1 |
| Formfactor | Rack 4U | 1 |
| Hard Drive | 146GB 3G SAS 10K SFF SP HDD | 6 |
| HBA | 4Gb PCI-e | 2 |
| Optical Cable | 5m Multi-mode OM2 LC/LC FC Cable | 4 |
| SFP Transceiver | 4 Gb Short Wave Single | 4 |
| Additional Memory | 8 GB FBD PC2-5300 2 x 4 GB Dual Rank Kit | 8 |

2. დაფინანსების წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი.

3. საქონლის მიწოდების ვადები: საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა 45 დღე.
4. შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები. გარანტიების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე 2009 წლის 5 მაისიდან – 25 მაისის 17:00 საათამდე, მისამართზე: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“, სათაო ოფისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვების განყოფილება.

6. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ორი ასლი), 2009 წლის 27 მაისის 15:00 საათამდე, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, ტენდერის დასახელება (“საქართველოს ეროვნული ბანკის ტენდერი სერვერის შესყიდვაზე”), მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვების განყოფილება.

7. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

8. წარმოდგენილი სატენდერო პაკეტი გაიხსნება სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 2009 წლის 27 მაისის 15:05 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი,

ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის სხდომათა დარბაზი, II სართული, ოთახი № 208.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

9.1 იურიდიული პირისთვის:
ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

9.2 ფიზიკური პირისთვის:
ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

9.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:
ა) რეკვიზიტებს (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რევიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის ასლი, რომელიც ადასტურებს, რომ პრეტენდენტი არის კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი მსოფლიოში ცნობილი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი, პარტნიორი, დისტრიბუტორი და ა.შ.
გ) ინფორმაციას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდების შესახებ, დამკვეთების მითითებით.
დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წინადადების ფასის 1%-ს ოდენობით, გაეცემული საქართველოს რეზიდენტი ბანკის მიერ;

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია. თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, ტელ: 442369, 442396. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო პირები: ზურაბ ღონაძე, დავით ჭელიძე, ტენდერის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: www.nbg.gov.ge.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია

შპს “საქართველოს რკინიგზა” 2009 წლის 5 მაისიდან აცხადებს ტენდერს საიზოლაციო მასალის შესყიდვის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს საიზოლაციო მასალის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 5 მაისიდან 2009 წლის 25 მაისის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი № | დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|--------|---------------|--|------|------|
| 1 | სელი | ჩასახვევი მასალა | კმ | 20 |
| | გერმეტიკი | საიზოლაციო წყალგაუმტარი (უნივერსალური სილიკონი) შავი 310 გრამი | ცალი | 100 |
| | ქაფი | საიზოლაციო 750 გრამი | | 30 |
| | პრემპანი | სისქით 0.5-1.0 მმ | მ² | 12 |
| | კემბრიკი | მილი საიზოლაციო 10მმ | მ | 200 |
| | კიპერნი ლენტე | 40მმ | კმ | 50 |
| | პარანიტი | სისქით 1.5 ÷ 2.0 მმ | | 50 |

3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;
4. მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2009 წლის 1 აგვისტო;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დასრულებული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 25 მაისის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: იურიდიული პირებისათვის:
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

